სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ ნოზაძე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი

2020

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მ.ნოზაძე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „**საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში**“ შეეხება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკას, პრიორიტეტებს და საქმიანობის ანალიზს საქართველოში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ მრავალი წელია აკადემიურ, საექსპერტო და ბიზნეს წრეებში არ წყდება კამათი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ არსებული სტრატეგიისა და საქმიანობის შესახებ. სხვადასხვა ტიპის დისკუსიების დროს იკვეთება ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები. ჩატარებული **კვლევის საგნია** იმ პროექტების შესწავლა რომლებიც საქართველოში განხორციელდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ თანამედროვე ბიზნეს გარემოში წარმოუდგენელია იყო წარმატებული საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, თუ შენი საქმიანობა ეფექტური არაა მიმღებ ქვეყანაში. ეს პროცესი კომპლექსურია და მოიცავს უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში უნდა განვსაზღვროთ ბიზნესპროდუქტიულობით, რაც არის კომპანიის უნარი, გამოიყენოს ხელმისაწვდომი რესურსები მოგების მომტანი პროდუქტების ან სერვისების შესამუშავებლად.

Annotation

M. Nozadze

Efficiency of activities of international financial institutions in Georgia

Our master's thesis "The Effectiveness of International Financial Institutions in Georgia" focuses on the policy, priorities and analysis of international financial institutions in Georgia. International financial institutions continue to contribute significantly to global economic prosperity. Our goal was to study the effectiveness of the activities of international financial institutions in Georgia. Therefore, I think the research topic is relevant for us. The purpose of the study is to show that for many years there have been discussions in academic, expert and business circles about the strategy and activities of international financial institutions in relation to developing countries. Different types of discussions often show very different views. The subject of the research is the study of projects implemented in Georgia with the support of international financial institutions. The object of the research is information posted on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia, and the National Statistical Office of Georgia. The main result of our research is that in today's business environment, it is unthinkable to have a successful international financial institution if your business is ineffective in the host country. This process is complex and includes the most important aspects. The novelty of our study is the demonstration that the effectiveness of the activities of international financial and credit organizations in Georgia should be determined by business productivity, that is, the company's ability to use available resources to develop profitable products or services.

შინაარსი

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში

შესავალი ---------- 4

თავი I. საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, მათი პრიორიტეტები და პროგრამები ---------- 6

1.1. მსოფლიო ბანკი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის სამსახურში ---------- 6

1.2. საქართველოს და მსოფლიო ბანკის პარტნიორობის სტრატეგია ---------- 12

1.3. საქართველოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარტნიორობის სტრატეგია ---------- 21

თავი II. საერთაშორისო საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუციების საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებები საქართველოში ---------- 26

2.1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის EBRD-ის საკრედიტო პოლიტიკა ქართულ საბანკო სივრცესა და ენერგოსისტემაში -- 26

2.2. სხვადასხვა საერთაშორისო - საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო პოლიტიკა ქართულ ეკონომიკაში ---------- 41

დასკვნა ---------- 55

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 57

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში“** შეეხება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკას, პრიორიტეტებს და საქმიანობის ანალიზს საქართველოში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. მიუხედავად ამისა, უკვე მრავალი წელია აკადემიურ, საექსპერტო და ბიზნეს წრეებში არ წყდება კამათი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ არსებული სტრატეგიისა და საქმიანობის შესახებ. სხვადასხვა ტიპის დისკუსიების დროს იკვეთება ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა მიმართ ადგილობრივი მთავრობების უაპელაციო მიდგომაა დამკვიდრებული. ასეთი მიდგომა, ხშირად, სწორედ აღნიშნულ ქვეყნებს აზარალებს. ხსენებული ტენდენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელზეც არაერთი უცხოელი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის, მისი შედეგების შეფასებისას ძირითადი აქცენტი კეთდება სტატისტიკურ მონაცემებზე, მათ წარმატებებსა და შეცდომებზე. არ არის გათვალისწინებული არსებითად მნიშვნელოვანი კომპონენტი-ქვეყნის მზაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენებისთვის. თუ განისაზღვრება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტრატეგიათა ეფექტურად გამოყენების ტაქტიკა, იგი მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს პოლიტიკას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის მას და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს. ჯამურად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით უფრო მეტად თანაბარი მაჩვენებლები აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს,

ვიდრე სომხეთს. თუმცა, შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ძირითადად აქცენტირებულია კერძო სექტორის პროექტებზე, აზერბაიჯანში კი პროექტების დიდი ნაწილი მიმართულია სახელმწიფო სექტორის განვითარებაზე.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ელეტრონული ბიბლიოთეკის მასალები, ასევე ELSEVIER-ის ბაზები: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), საგნობრივი 900-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, ონლაინ რესურსები, რომლებზეც მსოფლიო პანდემიის პირობებში უფასოდ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, მათი პრიორიტეტები და პროგრამები

1.1. მსოფლიო ბანკი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის სამსახურში

მსოფლიო ბანკი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარებების გაწევის ორგანიზაციის მიზნით. მსოფლიო ბანკის შექმნის იდეა გაჟღერდა 1944 წელს აშშ-ს ქალაქ ბრეტონ-ვუდსში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მსოფლიოს 45 ქვეყნის წარმომადგენელი განიხილავდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკის აღდგენას და მსოფლიო მეურნეობის ახალ წყობას. თავისი განვითარების მანძილზე ბანკში განხორციელდა არაერთი ცტრუქტურული ცვლილება, ამიტომ ტერმინი „მსოფლიობანკის“ ქვეშ განსხვავებული ორგანიზაციები მოიაზრება. საწყის ეტაპზე მსოფლიო ბანკი ასოცირდებოდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან, რომელიც ანხორციელებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების და იაპონიის ფინანსურ მხარდაჭერას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 190 წელს შეიქმნა განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, რომელმაც შეითავსა მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკის ნახევარი.

ამჟამად მსოფლიო ბანკის ჯგუფი აერთიანებს ხუთ ინსტიტუტს:

- **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი**
  (International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD);
- **საერთაშორისო განვითარების ასოციაცია**
  (International Development Association - IDA);
- **საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია**
  (International Finance Corporation – IFC;
- **მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო**

(Multilateral Investment Guarantee Agency - MIGA);

- **ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი** (International Center for Settlement of International Disputes - ICSID);

1968-1980 წლებში მსოფლიო ბანკის საქმიანობა მიმართული იყო განვითარებადი ქვეყნების დახმარებისაკენ, გაიზარდა წარსადგენი კრედიტების სტრუქტურა და მოცულობა, რომელმაც მოიცვა ეკონომიკის სხვადასხვა დარგები, დაწყებული ინფრასტრუქტურიდან დამთავრებული სოციალური სფეროთი. ამ პერიოდში მსოფლიო ბანკს მართავდა წარსულში კომპანია „ფორდის" პრეზიდენტი რობერტ მაკნამარა, რომელმაც მართვის ტექნოკრატიული სტილი დანერგა. მან პოტენციალური ქვეყანა-მიმღებებისათვის ინფორმაციის მიღების ახალი სისტემა შემოიღო, რაც იძლეოდა დროის მკვეთრად შემცირების საშუალებას კრედიტების მიცემის გადაწყვეტილებაზე.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ბანკმა თავისი საქმიანობის კონცენტრირება გააკეთა ათასწლეულის განვითარების მიზნებზე. XXI საუკუნის გარდამავალ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ფორმულირებულ იქნა 8 მიზანი, რომელთა მიღწევისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, ეს მიზნები იყო:

- სიღარიბისა და შიმშილის ლიკვიდაცია;
- საყოველთაო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა;
- ქალთა შესაძლებლობების, უფლებების და თანასწორობის წახალისება;
- ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
- მშობელი დედების პირობების გაუმჯობესება;
- შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
- ბუნებრივი გარემოს მყარი განვითარების უზრუნველყოფა;
- განვითარებისათვის გლობალური თანამშრომლობის ფორმირება;

მსოფლიო ბანკი გაეროს (UN) საეთაშორისო ფინანსური და სპეციალიზებული ინსიტუტია, რომლის მიზანია მსოფლიოში ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა, რასაც ის ახორციელებს კრედიტების გაცემით განვითარებად

სახელმწიფოებზე. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) და გაეროს განვითარების ჯგუფის საპატიო წევრი. ფუძემდებლური ხელშეკრულების თანახმად, მსოფლიო ბანკი ორიენტირებულია მდგრად განვითარებასა და სხვადასხვა სახის ინვესტიციების წახალისებაზე. „თავისი განვითარების ისტორიის განმავლობაში ბანკმა განიცადა სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილება, ამიტომ ტერმინ „მსოფლიო ბანკის“ ქვეშ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანიზაციები მოიაზრებოდა. „ბანკის შექმნა გადაწყდა ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო კონფერენციაზე 1944 წელს, სტრუქტურამ კი მუშაობა დაიწყო 1945 წელს. იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მის წევრად მიიღებიან მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები. შტაბ-ბინა ვაშინგტონში მდებარეობს. მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. ბანკის ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი. ბანკს ჰყავს პრეზიდენტი. მსოფლიო ბანკი გაეროს (UN) საეთაშორისო ფინანსური და სპეციალიზებული ინსიტუტია, რომლის მიზანია მსოფლიოში ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა, რასაც ის ანხორციელებს კრედიტების გაცემით განვითარებად სახელმწიფოებზე.“[1] გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) და გაეროს განვითარების ჯგუფის საპატიო წევრი. ფუძემდებლური ხელშეკრულების თანახმად, მსოფლიო ბანკი ორიენტირებულია მდგრად განვითარებასადა სხვადასხვა სახის ინვესტიციების წახალისებაზე.

მსოფლიო ბანკი ქვეყნებს ძირითადად სთავაზობს 2 სახის სესხს: საინვესტიციო სესხებს და განვითარების პოლიტიკის მხარდამჭერ სესხებს. პირველის მიზანია ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხარს უჭერს ქვეყნის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს. ამასთან ბანკი შეისწავლის მსესხებელის საპროექტო შემოთავაზების ფინანსურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს, რათა დარწმუნდეს პროექტის განხორციელების შესაძლებლობაში.

[1] მსოფლიო ბანკი - გლობალური ფინანსური შუამავალი სსფ-ის ჩრდილში. ვეფხია სამსონიძე. #8(212), 2017.http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=3183&fbclid=IwAR2NGmSVVOENC_d0bMHdyyDjohrnO4sfrXvnm3A_9zRIgnHvLXi572Ub8

„მსოფლიო ბანკმა პირველად სესხი საფრანგეთზე გასცა 1947 წელს 250 მლნ დოლარის რაოდენობით. საფრანგეთი იძულებული აღმოჩნდა დათანხმებოდა მსოფლიო ბანკის მთელ რიგ მოთხოვნებს, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის ყველაზე დასუსტებული სახელმწიფო აღმოჩნდა დასავლეთ ევროპაში, რომელიც საჭიროებდა ფინანსურ დახმარებას. საფრანგეთს უნდა შეენარჩუნებინა საბიუჯეტო ბალანსი და დახმარება გაეწია სახელმწიფოს ყველაზე სუსტი ორგანოებისთვის. საფრანგეთის ქმედებებს ზედმიწევნით უწევდა მონიტორინგს მსოფლიო ბანკის მომსახურე პერსონალი, რომელიც აკონტროლებდა ქვეყნის ქმედებებს ფინანსების გამოყენებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, საფრანგეთზე სესხის გაცემის წინაპირობად აშშ-ს დეპარტამენტის მხრიდან ქვეყანაში კომუნისტური პარტიის გაუქმება აღმოჩნდა. საფრანგეთმა შეასრულა დონორი სახელმწიფოს მოთხოვნა და ამის შემდეგ მიიღო ფინანსური დახმარება.“[2]

მსოფლიო ბანკის მნიშვნელოვანი ინსტიტუტებია:

რეკონსტრუქციებისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)

მსოფლიობანკის შექმნის დრიდან (1944 წ) ფუნქციონირებს მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფი - რეკონსტრუქციებისა და განვითარების საერთაშორისო ბანკია, (IBRD) რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის კრედიტების უმსხვილეს მიმწოდებელს. ამასთანავე, გათვალისწინებულია სხვადასხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელება განვითარებად და განვითარების დაბალ დონეზე მყოფი სახელმწიფოებისთვის. „ინფრასტრუქტურული დაფინანსებების გარდა, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკული ობიექტების, საავტომობილო გზების, ტელეკომუნიკაციებისდა ა.შ განვითარებას, რეკონსტუქციებისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი ანხორციელებს სხვადასხვა სახის ინვესტიციებს, რომელიც ეხმარება ღარიბ სახელმწიფოებს ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა ბანკის ძირითადი მიზანია ინდივიდუალურად მიუდგნენ ადამიანურ პრობლემებს და გაუწიონ პერსონალური დახმარებები. საკრედიტო ოპერაციები, რომელსაც ახორციელებს რეკონსტრუქციებისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი,

[2] მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით წარმართული ინოვაციური ეკონომიკური ზრდა. საქართველოს ეკონომიკა-სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. - ISSN N7-8(184-185). თბილისი, 2013. გვ.39-40

უზრუნველყოფს საკრედიტო საშუალებებიდან, როგორიცაა: საკუთარი ფინანსური ბაზრები მსოფლიოში და ამასთანავე გაუნაწილებელი მოგებები და გადასახადები.კრედიტები ძირითადად განვითარებად სახელმწიფოებზე გაიცემა. კრედიტის გადასახადის გადავადების მაქსიმალურივადა 5 წელია. კრედიტების გაცემა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება. არსებობის მანძილზე ბანკს გაცემული აქვს 26.7 მლრდ დოლარის ოდენობის კრედიტი, რომელიც მოხმარდა 130-ზე მეტ პროექტს. დღესდღეობით რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში 188 წევრი სახელმწიფოა. შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში."[3]

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია(IFC)

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს განვითრებად და განვითარების დაბალ დონეზე მყოფ სახელმწიფოებში. გარდა ამისა მის პრეროგატივაში შედის კონსულტაციების ჩატარება ნაციონალური და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. აღნიშნული კორპორაცია დაარსდა 1956 წლის 24 ივლისს. შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში და დღესდღეობით ის 184 წევრ სახელმწიფოს ითვლის.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(IDA)

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), რომელიც მსოფლიო ბანკის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი სტუქტურაა, დაარსა 1960 წელს და მისი მიზანია მსოფლიოში ყველაზე ღარიბი ქვეყნების დახმარება კრედიტებისა და გრანტების გაცემის ხარჯზე, რაც ხელს უწყობს ზემოთ ხსენებული ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია მსოფლიოში ყველაზე დიდი სადამხმარებლო გაერთიანებაა, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოში 77 უღარიბესი ქვეყნის დახმარებას, რომელთაგან 39 არის აფრიკული სახელმწიფოები. მოცემულ ქვეყნებს ასოციაციის მხრიდან მიეცემა უპრეცედენტო სესხები, რომლის დაფარვა შესაძლებელია 25-38 წლამდე ვადებში პროცენტების დარიცხვის გარეშე. აღსანიშნავიაის ფაქტი რომ ზემოთხსენებული ქვეყნების დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ წევრი სახელმწიფოების

[3] ნონიაშვილი ხათუნა. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის სტრატეგიული გეგმა. ბანკები და ფინანსები [http://bfm.ge/?cat=4&paged=5] 27 იანვარი-5 თებერვალი #4 თბილისი 2009. გვ.4

შემოწირულობით. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD), რომელთა აღმასრულებელ სამუშაოებს ასრულებს ერთი და იგივე მომუშავე პერსონალი, ამასთანავე მათი სათაო ოფისები გაერთაინებულია ერთ შენობაში და მდებარეობს ვაშინგტონში, აშშ-ში. დღესდღეობით ასოციაციას ჰყავს 172 სახელმწიფო, რომელთა უმრავლესობა განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ქვეყნებია.

ინვესტიციური დავების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი(ICSID)

ინვესტიციური დავების და რეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID) წარმოადგენს საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტს, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივი დავების მოგვარებას საერთაშორისო მაშტაბით ინვესტორებს შორის. ცენტრი დაარსდა 1966 წელს, როგორ ავტონომიური, მრავალმხრივი სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების სამართლებრივ გადანაწილებას და უზრუნველყოფს არაკომერციული რისკების თავიდან აცილებას განვითარებად ქვეყნებში. ამ წესდებას ხელს აწერს რეკონსტრუქციებისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის აღმასრულებელი დირექტორები და ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები. 2012 წლის ხელშეკრულების თანახმად 158 ქვეყანა შეთანხმდა, რომ დაიცავენ საერთაშორისო ცენტრის(ICSID) კონვენციით გათვალისწინებულ პირობებს და მოთხოვნებს. დღესდღეობით ინვესტიციური დავების დარეგულირები საერთაშორისო ცენტრში 159 ქვეყანაა გაწევრიანებული. შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში. ცენტს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. დღევანდელი მონაცემებით აღნიშნული ცენტრის გენერალური მდივანი - მეგ კინერია.

ინვესტიციების გარანტიის მრავალმხრივი სააგენტო(MIGA)

ინვესტიციების გარანტიის მრავალმხრივი სააგენტო (MIGA) დაარსდა 1988 წელს. ეს არის საერთაშორისო ფინანსური ინსიტუტი, რომელიც სახელმწიფოებზე გასცემს გარანტიას, რომ მის მიერ ჩადებული ინვესტიცია განვითარებად სახელმწიფოებში იქნება დაზღვეული არაკომერციული რისკებისგან. ინვესტიციების გარანტიის მრავალმხრივი სააგენტოს ჰყავს 181 წევრი სახელმწიფო. მას დღევანდელი მონაცემებით

ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტი კეიკო ჰონდა. შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში.

1.2. საქართველოს და მსოფლიო ბანკის პარტნიორობის სტრატეგია

„საქართველო მსოფლიო ბანკს 1992 წელს შეუერდა, საერთაშორისო განვითარების ასოციაციას კი 1993 წელს. საქართველოს ერთ-ერთი „მსუბუქ წონიანი“ სახელმწიფოა მსოფლიო ბანკში. მისი ხმის „წონა“ 0.11%, წარმოადგენს. საქართველოს გაწევრიანების შემდეგ მსოფლიო ბანკმა 50-ზე მეტი პროექტი დააფინანსა. დაფინანსების მთლიანმა თანხამ 1.68 მილიარდი დოლარი შეადგინა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების, გრანტების და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების სახით, რომელთა დაახლოებით 90% უკვე გადარიცხულია. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დაფინანსების 67% საინვესტიციო პროექტებზე მოდის, 33% კი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტისათვის გაწეული დახმარებაა. საქართველოსთვის, მსოფლიო ბანკის მისიიდან გამომდინარე, ბანკი მოწოდებულია დაეხმაროს ქვეყანას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, სოციალური მომსახურების გაუმჯობესებაში და გარემოს დაცვაში. ამ მიზნით იგი ახორციელებს ქვეყნის ფინანსურ დახამარებას, ანალიზსა და კონსულტაციებს, ხოლო მის პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება: ინფრასტრუქტურა, განათლება და ეკონომიკური რეფორმა.“[4]

საქართველოს დასახმარებლად ჯერ კიდევ 2006-2009 წლებში შემუშავდა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია, რომელიც აგებული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების პროგრამის (EDPRP) გათვალისწინებით და მიზნად ისახავს:

[4] მსოფლიო ბანკი - გლობალური ფინანსური შუამავალი სსფ-ის ჩრდილში. ვეფხია სამსონიძე. #8(212), 2017.http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=3183&fbclid=IwAR2NGmSVVOENC_d0bMHdyyDjohrnO4sfrXvnm3A_9zRIgnHvLXi572Ub8

- ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნას კერძო სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრითა და ინფრასტრუქტურის, საფინანსო სექტორისა და ბაზრების გაუმჯობესებით;
- ადამიანური განვითარების ხელშეწყობასა და სოციალურ დაცვას უკეთესი განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებითა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებით;
- კორუფციის შემცირებისა და განვითარების უკეთესად დაგეგმვის მიზნით სახელმწიფო სექტორის მართვისა და საბიუჯეტო პროცესების გაძლიერებას;

IFC-ის მთავარი კომპონენტია სიღარიბის შემცირების მხარდამჭერი კრედიტები (PRSCs) საზოგადოებრივი სექტორის რეფორმის მხარდამჭერ პროექტთან ერთად.

„საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის დაწყებიდან დღემდე დაფინანსდა 1,68 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების IDA-ს 62 პროექტი. ამჟამად, აქტიურ პორტფელს შეადგენს IDA-ს 12 კრედიტი 265 მლნ აშშ დოლარის მთლიანი ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის საპასუხოდ, მსოფლიო ბანკმა 2008 წლის ოქტომბერში საქართველოსთვის დაჩქარებული წესით დაამტკიცა 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თანხა, ხოლო 2009 წლის 19 მარტს მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა IDA-ს 70 მლნ აშშ დოლარის ღირებულების კრედიტი, რათა გაგრძელდეს საწყისი 20 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტი. დღეისათვის მსოფლიო ბანკი ეხმარება საქართველოს მთავრობას კონსულტანტების დაფინანსებაში ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით და ა.შ. საქართველომ ყველაზე დიდი დაფინანსება მსოფლიო ბანკისგან 2010-2013 ფისკალურ წლებში მიიღო. დაფინანსების 650 მლნ დოლარს აღმატებოდა. მსოფ-ლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის მონაცემებით, 2009 წლიდან ბანკის მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებული პროგრამების ძირითადი მიღწევები შემდეგია:

- აშენდა 7 ახალი სკოლა, რომლებშიც 4,150 მოსწავლე სწავლობს და 300-ზე მეტი მასწავლებელი მუშაობს;

- სამედიცინო დარგის, დაახლოებით, 1800-მა მუშაკმა სპეციალური მომზადება გაიარა და ოჯახის ექიმი გახდა;
- ამბროლაურში 25-საწოლიანი საავადმყოფო აშენდა;
- გორში პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი გაიხსნა, რომელიც, დაახლოებით, 69,000 ბენეფიციარს ემსახურება (მათგან 10,000 იძულებით გადაადგილებული პირია);
- მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემამ 408,367 ბენეფიციარი მოიცვა;
- გაფართოვდა გადასახადების ელექტრონულად დეკლარირების სისტემა, რომელმაც ყველა სახის გადასახადი მოიცვა;
- ამის შედეგად, 2010 წელს ყველა დეკლარაციის 75 პროცენტი ელექტრონული ფორმით იყო წარდგენილი. მაგალითად, 2009 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10 პროცენტს უდრიდა."[5]
- აღმოსავლეთ - დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ავტო - ბანის) კეთილმოწყობის I ,II ,III პროექტი, დაფინანსდა 184.12 მლნ დოლარით 2007-2009 წლები;
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების პროექტი, დაფინანსდა 85 მლნ დოლარით 2008 წელს. პროექტი დასრულდა 2013 წლის 30 ივნისს;
- კახეთის რეგიონული გზების კეთილმოწყობის პროექტი 30მლნ დოლარით 2009 წლის დეკემბერში. პროექტი დასრულდა 2013 წლის ივნისში
- განვითარების პოლიტიკის ღონისძიებები, დაფინანსდა 175 მლნ დოლარით 2009 წელს. პროექტი დასრულდა 2011 წლის 31 მარტს;

[5] ნონიაშვილი ხათუნა. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის სტრატეგიული გეგმა. ბანკები და ფინანსები [http://bfm.ge/?cat=4&paged=5] 27 იანვარი-5 თებერვალი #4 თბილისი 2009. გვ.4



წყარო: http://bankfacts.ge/blogs/saerTashoriso-reitingebi
გადამოწმებულია 2.06.2018

მსოფლიო ბანკის საქმიანობა მიმართულია განვითარებადი ქვეყნების ისეთი სფეროებისკენ, როგორიცაა ადამიანის განვითარება (განათლება, ჯანდაცვა), სოფლის მეურნეობა (სარწყავები, სოფლის მომსახურეობები), გარემოს დაცვა (დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა და მონიტორინგი), ინფრასტრუქტურა (გზები, ურბანული რეგენერაცია, ელექტროენერგია), მსხვილი სამრეწველო მშენებლობის პროექტები და საკითხები მიკუთვნებული მმართველობის სფეროს (მაგალითად: ანტიკორუფციული, სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარება).

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესება

აღნიშნული პროექტის განვითარების მიზნებს წარმოადგენს: წვლილი შეიტანოს საგზაო-სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივ შემცირებაში, გააუმჯობესოს საგზაო უსაფრთხოება, რაც აღნიშნული ავტომაგისტრალის განახლების პარალელურად უნდა მოხდეს, ამავე პროექტის ფარგლებში.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დამატებითი გაუმჯობესება

აღნიშნული პროექტის (TEWHIP) მიზნებს წარმოადგენს: წვლილი შეიტანოს საგზაო-სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივ შემცირებასა და ხელმისაწვდომობის

გაუმჯობესებაში, საქართველოს დასავლეთის დერეფნის ცენტრალურ ნაწილში განიტვირთოს სატრანზიტო მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნას საგზაო უსაფრთხოების ზომები. რათა გაუმჯობესდეს საგზაო ქსელის ხარისხი და მისი უსაფრთხოება.

ადგილობრივი გზების პროექტი (SLRP II)

აღნიშნული პროექტის მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს შიდა კავშირი და შეამციროს მოგზაურობის დრო არჩეულ მეორად და ლოკალურ გზებზე. გააძლიეროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რათა უკეთ „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის დაფინანსების ფარგლებში საქართველომ მსოფლიო ბანკისაგან 167,7$ მილიონის ოდენობის შეღავათიანი სესხი მიიღო. აღნიშნული პროექტი 2015-2017 წლებში განხორციელდა. გრძელვადიან პერიოდში საქართველოს სოფლებში დაგებული გზები და შესაბამისად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა დადებითად აისახება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებასა და ზოგადი ყოფის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულმა სესხმა ხელი უნდა შეუწყოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განვითარებასაც. გარდა გზების დაფინანსებისა, მსოფლიო ბანკმა საქართველოს მთავრობას $92.7 მილიონის ოდენობით შეღავათიანი სესხი საბიუჯეტო სახსრების შესავსებად გამოუყო. ამ სესხის ფარგლებში მოხდა საჯარო ფინანსების ადმინისტრირების დახვეწა, სოციალური სერვისებისა და სახელმწიფოს კონკურენტული უპირატესობის განვითარება. მსოფლიო ბანკმა სესხები DPO III-ის (განვითარების პოლიტიკის სამოქმედო გეგმა) ფარგლებში გამოყო განვითარების პოლიტიკის მესამე ღონისძიება მიმართულია საქართველოს კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისკენ. შეთანხმება ითვალისწინებს ქვეყანაში შემდგომი სტრუქტურული რეფორმების, ასევე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. კონკურენტული გარემოს შექმნისა და ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი პროგრამა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) და

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსებით ფინანსდება. “[6]

მსოფლიო ბანკის 30 მილიონიანი სესხი საქართველოს

2014 წელს მსოფლიო ბანკმა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საქართველოს $30 მილიონის ოდენობის სესხი გამოუყო. მსოფლიო ბანკმა და საქართველოს მთავრობამ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს, რომელიც მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ინსტიტუციონალურ განვითარებას ითვალისწინებს. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ხელშესაწყობად ივლისში ხელი მოეწერა შეთანხმებას მსოფლიო ბანკსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) შორის, რომლის თანახმადაც სააგენტო საქართველოს გრანტის სახით დამატებით $5 მილიონ დოლარს გამოუყოფს.

მსოფლიო ბანკის 60 მილიონიანი სესხი ელექტრო გადამცემი ქსელის გასაუმჯობესებლად

2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა ხელი მოაწერეს საფინანსო ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველომ ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების მიზნით ახალი, 60 $ მილიონიანი კრედიტი აიღო. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს სამხრეთ ნაწილში გადამცემი ხაზების რეაბილიტაციას, რათა სისტემას უკეთ შეძლებოდა საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გმოყენება.

საირიგაციო სისტემების განვითარების პროექტი

2014 წელს საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საირიგაციო სისტემების განვითარების შესახებ. მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაცია IDA-მ პროექტის განხორციელებისთვის საქართველოს $50 მილიონი გამოუყო პროექტის ფარგლებში

[6] ეკონომიკური ქრონიკა. ჟურნალი-გადასახადები. #1. მარტი. დამატება #1. თბილისი 2015. გვ. 5-9.

კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში განხორციელდა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია. პროექტის მეშვეობით მიწის აღწერისა და რეგისტრაციის სამუშაოებიც ჩატარდება. დაახლოებით 19 ათას ოჯახს, რომლებიც საირიგაციო სისტემების სიახლოვეს ცხოვრობენ, აქამდე გაუფორმებელი მიწის ნაკვეთების დარეგისტრირების საშუალება მიეცათ. სარწყავი სისტემების განვითარების პროექტი ხუთწლიანია. პროექტის ფარგლებში შემდგომ წლებში რეგიონში სარწყავი მიწის ფართობი 26000 ჰექტრამდე უნდა გაიზარდოს, ხოლო მიწოდებული წყლის რაოდენობა დღეს არსებული 67 მილიონი მეტრ კუბიდან 95 მილიონ მეტრ კუბამდე უნდა გაიზარდოს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, აღნიშნული პროექტისგან პირდაპირ სარგებელს 31 ათასი ოჯახი მიიღებს. პროექტს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დონორთა პროექტების მართვის სამმართველო და იუსტიციის სამინისტრო ანახორციელებენ. საქართველოს მთავრობა პროექტით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას პროექტის დასრულებიდან 10 წლის შემდეგ, ანუ 2029 წელს დაიწყებს, მისი დაფარვა კი 2054 წელს დასრულდება. მსოფლიო ბანკის მნიშვნელოვანმა სტუქტურებმა, როგორიცაა საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და რეკონსტრუქციისადა განვითარების საერთაშორისო ბანკმა დააფინანსა კიდევ რამდენიმე პროექტი მათ შორის არის:

2020 წლის 31 მაისი

May 31, 2020

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი

External Public Debt of Georgia

კრედიტორი Creditors	კრედიტის ვალუტა Currency	ვალის ნაშთი (ათასი) Debt Stock (thousand)		
		კრედიტის ვალუტაში in Credit Currency	აშშ დოლარში in USD	ლარში in GEL
სახელმწიფო საგარეო ვალი **External Public Debt**			**5 979 271**	**18 990 763**
მთავრობის საგარეო ვალი **Government External Debt**			**5 732 308**	**18 206 382**
მრავალმხრივი კრედიტორები **Multilateral**			**4 176 149**	**13 263 868**
აზიის განვითარების ბანკი (ADB) Asian Development Bank	USD	407 044	407 044	1 292 814
	SDR	482 182	661 563	2 101 190
	EUR	182 469	203 180	645 320
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) Asian Infrastructure Investment Bank	USD	30 448	30 448	96 706
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) Council of Europe Development Bank	EUR	902	1 004	3 188
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) European Bank For Reconstruction and Development	EUR	116 316	129 519	411 365
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) European Investment Bank	EUR	522 725	582 056	1 848 668
ევროკავშირმა (EU) European Union	EUR	38 000	42 313	134 391
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) International Bank For Reconstruction and Development	USD	809 803	809 803	2 572 014
	EUR	142 174	158 312	502 813
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) International Development Association	SDR	666 368	914 270	2 903 813
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) International Fund for Agriculture Development	SDR	24 279	33 311	105 800
	EUR	750	835	2 652
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) International Monetary Fund	SDR	147 000	201 687	640 578
სკანდინავიური გარემოდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO) Nordic Environment Finance Corporation	EUR	723	805	2 556

წყარო: https://mof.ge/images/File/sagvalebi/2020/may/External%20Debt-05-2020%20GE-EN.pdf

გადამოწმებულია 13.06.2020

- რეგიონალური განვითარების პროექტი, რომელიც დაფინანსდა 60 მლნ დოლარით 2012 წლის 20 მარტი-2016 წლის31 დეკემბერი;
- შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი, რომელიც დაფინანსდა 2012 წელს 70 მლნ დოლარით.

როგორც განვითარებადი სახელმწიფო, საქართველო იძულებულია აიღოს კრედიტები სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო სტუქტურებისა თუ მეგობარი სახელმწიფოებისაგან, რათა მოახერხოს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ინფრასტრუქტურული განვითარება. დღევანდელი მონაცემებით საქართველოს მსოფლიოს მაშტაბით 11-ზე მეტი „მევალე" ჰყავს. მათ შორის კი შეღავათიანი სესხების გაცემის კუთხით მსოფლიო ბანკი საქართველოს უდიდესი კრედიტორი ინსტიტუტია. საქართველოს საგარეო ვალის 40 % მსოფლიო ბანკის კრედიტები წარმოადგენს.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მსოლფიო ბანკმა საქართველოში განახორციელა იყო-„დიდ მონაცემთა ანალიტიკა უკეთესი მმართველობისათვის", პროექტის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვები სისტემისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი, საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება დიდ მონაცემთა ანალიზისათვის სპეციალიზებული პროგრამებით და ტრენინგ-კურსებით. პროექტის შედეგად:

- სამსახურის ანალიტიკოსები გაიარეს შემდეგი სერტიფიცირება და ტრენინგ კურსები:
- მონაცემთა ბაზების დამუშავებასა და ანალიზი (Querying Microsoft SQL
- მონაცემთა მეცნიერების (Data Science) პროფესიული სერტიფიცირება
- მონაცემთა მეცნიერება (Data Science) მენეჯერებისთვის

შესყიდულ იქნა დიდი მონაცემების ანალიზის სპეციალიზებული პროგრამა Caseware IDEA, შეძენილ იქნა მონაცემთა ვიზუალიზაციის პროგრამა Tableau, მომზადდა

საინფორმაციო ვიდეორგოლი დიდი მონაცემების თაობაზე, რომელიც განთავსდა როგორც მსოფლიო ბანკის ვებ გვერდზე ასევე სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეებში.“[7]

1.3. საქართველოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარტნიორობის სტრატეგია

„სსფ არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც 184 წევრი ქვეყანაა. მისი მიზანია გააღრმავოს გლობალური მონატერული თანამშრომლობა, შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და დასაქმების დონის ამაღლებას, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპი და შეამციროს სიღარიბის დონე. სსფ შეიქმნა 1944 წლის ივლისში საერთაშორისო კონფერენციაზე ბრეტონ ვუდსში. კონფერენციაზე დელეგატები 44 მთავრობიდან შეთანხმდნენ ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რომლის მიზანი ნაწილობრივ წარმოადგენდა მომავალში თავი აერიდებინათ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების განმეორებისგან ისეთი დამანგრეველი შედეგებით, როგორიც იყო 1930-იანი წლების დიდი დეპრესია. 1947 წელს მასში შედიოდა 49 ქვეყანა, ძირითადი კაპიტალი 7,7 მლრდ, დოლარს შეადგენდა. 1975 წლის 1 იანვრისთვის მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 126-მდე, ძირითალი კაპიტალი - 29,2 მლრდ-მე. პრაქტიკულად სსფ თანამედროვე სავალუტო სისტემის ინსტიტუციური საფუძველია. იგი მოწოდებულია წევრ ქვეყნებს შორის სავალუტო–საანგარიშსწორებო ურთიერთობების რეგულირების განსახორციელებლად და მათ ფინანსურ დახმარებას უწევს სავალუტო სიძნელეების წარმოშობის დროს უცხოურ ვალუტაში კრედიტების გაცემით.“[8]

„საქართველოში სსფ-ის მისია 1992 წლის 5 მაისიდან მოქმედებს. დაარსებიდან 2014 წლის 30 ივნისამდე სსფ-ს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი სესხების ჯამური

---

[7] https://sao.ge/ka/დიდ-მონაცემთა ანალიტიკა უკეთესი 201912031251ka. html სახელმწიფო აუდიტის სამსახური. გადამოწმებულია 15.08.2020

[8] იაშა მესხია. საერთაშორისო ფინანსები. თბილისი 2012. გვ. 510-521.

ოდენობა შეადგენს 974,350,000 სდრ-ს[9], რომლის ამჟამინდელი ბალანსი შეადგენს 672,950,000 სდრ-ს. 2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად თხოვნით მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელს 18-თვიანი ეკონომიკური პროგრამის საფუძველზე 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფის შესახებ. თხოვნის უშუალო მიზეზი გახდა საომარი მოქმედებები რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში. აგვისტოს ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებიდან სსფ-მ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „ნდობის დეფიციტის" წარმოქმნას, რაც შემდეგ მოვლენებში აისახა:

- ერთბაშად დამუხრუჭდა კერძო სექტორში უცხოეთიდან კაპიტალის ნაკადების შემოდინება, ბაზარზე მკვეთრად იკლო უცხოური ვალუტის მიწოდებამ - მხოლოდ აგვისტოში ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 330 მლნ აშშ დოლარით ანუ 23 პროცენტით შემცირდა;
- დაიწყო ბანკებიდან დეპოზიტების განზიდვა. მათი მოცულობა აგვისტოში 400 მლნ ლარით ანუ 14 პროცენტით შემცირდა;
- ლიკვიდობის პრობლემის გამწვავებას ბანკებმა დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვით უპასუხეს;
- პიკს მიაღწია ქვეყნის რისკის მაჩვენებლებმა."[10]

სსფ-ს მისიები სხვადასხვა წლებში არაერთხელ განხორციელდა საქართველოშიდა ისინი სხვადასხვა პრობლემების დარეგულირებასა და რეკომენდაციების მიცემას შეეხებოდა, მათ შორის იყო გადასახადების ადმინისტრირება და მისი გაუმჯობესების მექანიზმის შემუშავება, ზედმეტად გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნების პროცედურები, ალტერნატიული აუდიტის ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და ა.შ.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდსა (IMF) და საქართველოს ხელისუფლებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული

[9] სდრ წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომელიც შექმნილია სსფ-ს მიერ და გამოიყენება როგორც საანგარიშო ერთეული (unit of account). სდრ-ს ღირებულება განისაზღვრება მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კალათის მიხედვით.

[10] იაშა მესხია. საერთაშორისო ფინანსები. თბილისი 2012. გვ. 510-521.

დაფინანსების მექანიზმის შესახებ". განიხილულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის მიმდინარეობა, 2018 წლის ფისკალური მაჩვენებლები, ქვეყანასა და რეგიონში არსებული ეკონომიკური ტენდენციები და 2019 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. სტრუქტურული რეფორმების შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში მოხდება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. ფონდი მიიჩნევს, რომ რეფორმების პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და მესამე მიმოხილვის დასასრულებლად საჭირო კრიტერიუმების უმრავლესობა შესრულებულია. სახელისუფლებლო რეფორმების გეგმის განუხრელი შესრულება უმნიშვნელოვანესია მაღალი და მეტად ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების ამბიციური რეფორმების გეგმას. შეთანხმება მიმდინარე წლის დეკემბერში დასამტკიცებლად წარედგინა IMF-ის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. მიმოხილვის დასრულების შემდეგ კი, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა, დაახლოებით 41, 6 მლნ აშშ დოლარი. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია, ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის მთავრობას ნაკისრი აქვს პასუხისმგებლობა და ვალდებულება, განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები. ინფლაცია სამიზნე ორიენტირის ფარგლებშია. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მდგრადია და გონივრული. „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის" ფარგლებში მესამე მიმოხილვამ ხელი შეუწყო ქვეყნის შემდგომ განვითარებას. სავალუტო ფონდმა მაინც ძალიან მაღალი შეფასება მისცა მიმდინარე რეფორმებს. მიუხედავად პოლიტიკური კონტექსტისა, ეს რეფორმები უნდა გაგრძელდეს. ზუსტად ეს რეფორმები არის მყარი გარანტი იმისა, რომ საქართველო როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, იქნება რეგიონში ყველაზე მდგრადი ეკონომიკის ქვეყანა."[11]

სავალუტო ფონდი, ფინანსური დახმარების გარდა, საქართვალოს მთავრობას აძლევს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაზეც არის დამოკიდებული მორიგი ფინანსური ტრანშების მიღება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რეკომენდაცია

[11] https://mof.ge/News/8721 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერილი პროგრამის მესამე მიმოხილვა წარმატებით დასრულდა. გადამოწმებულია 15.08.2020

გაუწია საქართველოს “პარიზის კლუბის” კრედიტორებთან საგარეო ვალების გადასავადებლად.

“სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის” ალტერნატივად ფონდმა საქართველოს მთავრობას რამდენიმე პროგრამა შესთავაზა და არჩევანის უფლება მას დაუტოვა. ამის გარდა, მოქმედი კანონმდებლობით, სავალდებულოა წელიწადში ერთხელ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ჩამოსვლა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად. ალტერნატიური პროგრამებია: სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა, 1-წლიანი შედარებით მაღალპროცენტიანი დახმარების პროგრამა და პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სსფ-ის მხრიდან არა ფულად დახმარებას, არამედ პოლიტიკური რეკომენდაციების გაცემას ითვალისწინებს. ჩვენთვის ჯერ უცნობია, რომელ პროგრამას აირჩევს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობისათვის, თუმცა ფონდი კვლავ მზადაა, სიღარიბის დაძლევის მიზნით საქართველოს მთავრობისათვის რეკომენდაციების გასაწევად.

2011 წლის იანვარში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) საქართველოს საკ-რედიტო ტრანში 153 მლნ აშშ დოლარი გამოუყო, რაც მოხმარდა ეკონომიკის აღდგენის პროცესს, მაკროეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერას სავალუტო რეზერვების შევსე-ბის ხარჯზე, რამაც ინვესტორთა ნდობის განმტკიცებას შეუწყო ხელი. პროგრამის მთლიანმა მოცულობამ დაახლოებით 1 მლრდი დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია თბილისს 2019 წლის 11-17 სექტემბერს ეწვია, რათა საქართველოში ბოლო ეკონომიკური და ფინანსური მოვლენები და სტრუქტურული რეფორმების მიმდინარეობისას მიღწეული პროგრესი განეხილა. მისია ადასტურებდა, რომ 2019 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზს 4,6 პროცენტის დონეზე, ხოლო ინფლაცია 2019 წლის ბოლოს იგეგმებოდა 5,4 პროცენტზე. ნავარაუდევი იყო, რომ 2020 წელს ინფლაცია შემცირდებოდა 3 პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებლამდე, რადგან მონეტარული პირობები გამკაცრდებოდა. სამწლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, სსფ-მა 2017 წლის აპრილში დაამტკიცა. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოსთვის დაახლოებით 297,5 მილიონი დოლარის გამოყოფას, საიდანაც 207,2 მილიონი დოლარი

საქართველომ უკვე მიიღო. დარჩენილ თანხას საქართველო წლის განმავლობაში მიიღებს, ორი ნახევარწლიანი მიმოხილვის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

„ქართულ მხარეს გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძლიერი გამოცდილება გააჩნია, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა უცხოური რეზერვების და ფისკალური რეზერვების შექმნა. მათი გამოყენება შეიძლება პოლიტიკური რეაგირების ნაწილი გახდეს საქართველოს ეკონომიკაში კორონავირუსის ეკონომიკურ ეფექტსა და გავლენასთან საბრძოლველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრძელებს, საქართველოს ხელისუფლებასთან ძალიან პროდუქტიულ თანამშრომლობას, ღია და კონსტრუქციულ დიალოგს, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, შოკის ეფექტის და გავლენის შესაფასებლად, დროული და გადამწყვეტი ნაბიჯების შესამუშავებლად, რათა პანდემიის ეკონომიკური ეფექტი განეიტრალდეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა, საქართველოს დაეხმაროს ამ გამოწვევებით აღასვსე და რთულ ვითარებაში.“[12]

[12] https://bm.ge/ka/article/imf-quotsaertashoriso-savaluto-fondi-saqartvelos-gverdit-dgasquot/51413
IMF: "საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს გვერდით დგას" გადამოწმებულია 15.08.2020

თავი II

საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუციების საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებები საქართველოში

2.1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის EBRD-ის საკრედიტო პოლიტიკა ქართულ საბანკო სივრცესა და ენერგოსისტემაში

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ორი ინსტიტუცია: **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი** (International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD) და **საერთაშორისო განვითარების ასოციაცია** (International Development Association - IDA) ქვეყნებზე, რომლებსაც არა აქვთ წვდომა კაპიტალის მსოფლიო ბაზრებთან ან აქვთ წვდომა ქვეყნისათვის წამგებიანი პოზიციებით, სესხებს იძლევიან შედარებით დაბალ პროცენტად, ხშირ შემთხვევაში ნულოვანი განაკვეთით ან გრანტის სახით. ამ ქმედების ერთადერთი ახსნა ისაა, რომ მსოფლიო ბანკის მიზანი არაა საქმიანობიდან მოგების მიღება.

ყოველ 3 წელიწადში ერთჯერ მსოფლიო ბანკის ჯგუფი შეიმუშავებს ჩარჩო დოკუმენტს სახელწოდებით „მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობის სტრატეგია“, რომელიც წარმოადგენს ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველს. სტრატეგიაში შედის ის პროექტები და პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურ ზემოქმედებას მოახდენენ პარტნიორ ქვეყნებში სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების დინამიურ განვითარებაზე. მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოსათვის განსახილველად გადაცემამდე სტრატეგია გასაცნობად მიეწოდება ყველა პარტნიორ სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებულ სტრუქტურებს.

განვითარებადი ქვეყნებისათვის წარსადგენი სესხების ფორმირება ხდება მსოფლიო ბანკის ობლიგაციების გამოშვებით, რომელთაც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე აქვთ ლიკვიდობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ასევე მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა საკუთარი კაპიტალი, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვილი რეზერვებისაგან შედგება. ასევე მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა მსოფლიო ბანკის 189 წევრი სახელმწიფოს საწევრო გადასახადი.

EBRD წარმოადგენს საინვესტიციო მექანიზმს, რომელიც 1991 წელს 60 ქვეყნისა და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეიქმნა, 27 ქვეყანაში - ცენტრალური ევროპიდან ცენტრალურ აზიამდე, ეკონომიკური და დემოკრატიული მხარდაჭერის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია იმ პერიოდში შეიქმნა, როდესაც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში პოლიტიკური წყობა იცვლებოდა და ყოფილი საბჭოთა კავშირის წყობის ქვეყნებს მხარდაჭერა სჭირდებოდათ ახალი, დამოუკიდებელი სექტორისა და დემოკრატიის შესაქმნელად. ამჟამად EBRD-ი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია და გარდა იმისა, რომ გამოჰყოფს სახსრებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმრავლეც გააჩნია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკის აქციონერები ამასთანავე სახელმწიფოს წარმომადგენლებიც არიან, ევრობანკი თავის კაპიტალს ძირითადად კერძო სექტორებში აბანდებს და როგორც წესი, თავის კომერციულ პარტნიორებთან. EBRD-ი ბანკების პროექტულ დაფინანსებას უზრუნველყოფს და თავის კაპიტალს როგორც ახალ წარმოებაში, ასევე ძველშიც აბანდებს. ევრობანკი ასევე თანამშრომლობს სამთავრობო კომპანიებთან პრივატიზაციის პროცესის და მისი სტრუქტურული რეორგანიზაციის, კომუნალური სისტემების მხარდაჭერის მიზნით.

მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა საომარმა მოვლენებმა, ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. იმავე წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე საერთაშორისო დონორება საქართველოს ომის შემდგომი კრიზისიდან თავის დასაღწევად 4,5 მილიარდი ოდენობის ფულადი რესურსი გამოუყვეს. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი საბანკო სექტორზე მოდიოდა. დონორთა წამომადგენლების განცხადებით ამ სექტორმა უკანასკნელი დარტყმა მიიღო როგორც ინვესტორთა ნდობის დაცემის, ისე ზოგადად, საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გამო. გამოყოფილი თანხიდან 850 მილიონი აშშ დოლარი საქართველოს კომერციული ბანკების მხარდასაჭერად მიიმართა, ფასიანი ქაღალდების და გარანტიების საშუალებით. ამ თანხის დიდი ნაწილი ქართულმა კომერციულმა ბანკებმა 2008 წლის განმავლობაში და 2009 წლის გასულ 10 თვეში უკვე მიიღეს, ხოლო დარჩენილ თანხას 2010 წლის ბოლოს.

„საერთაშორისო დახმარებამ ქართულ საბანკო სექტორს სულზე მოუსწრო. 2008 წლის სექტემბრის ბოლოს სებ-მა იგრძნო რა არსებული სიტუაციის სიმძაფრე, კომერციულ ბანკებს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 13-დან 5%-მდე შეუმცირა, ასევე ფინანსური მონოტორინგის სააგენტომ ლიკვიდურობის კოეფიციენტი 30-დან 20%-მდე შეამცირა. ამ ღონისძიებებმა ბანკებს მართლაც სულზე მოუსწრო და გარკვეულწილად ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მაგრამ ეროვნული ბანკის ეს შეღავათები საბაკო სექტორს კრახისგან ვერ იხსნიდა, რომ არა საერთაშორისო დახმარებები, რომლებიც საქართველოს და მის საბანკო სექტორს დონორებმა გამოყვეს. ბოლო წლებში, ქვეყანაში ქრონიკულად იგრძნობა კაპიტალის დანაკლისი, რისი შევსებაც საგარეო ბაზრებიდან მოზუდული სახსრებით ხდებოდა. დეპოზიტების ბაზა, სამწუხაროდ საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ადგილობრივი ეკონომიკა სესხებიტ ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ეს პრობლემა განსაკუთრებიტ გამწვავდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, როცა მნიშნველოვნად გართულდა უცხოური სახსრების მოზიდვა.“[13]

დონორთა შორის საქართველოს საბანკო სექტორის დასახმარებლად ყველაზე დიდი მოცულობით თანხა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 350 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, რომელსაც ბანკები სესხებისა და კაპიტალდაბანდებების სახით იღებდენ. 2008 წლის დეკემბერში „საქართველოს ბანკმა“ EBRD-სგან 100 მილიონი აშშ დოლარი, ბანკის საბაზისო კაპიტალისა და მისი გრძელვადიანი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. 2009 წლის აპრილში EBRD-მა „თიბისი ბანკს“ 70, ხოლო „ქართუ ბანკს“ 5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. ეს უკანასკნელი ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად იყო განკუთვნილი. მიმდინარე წლის ივლისში „საქართველოს ბანკმა“ კორპორატიული კლიენტებისთვის სესხების გასაცემად 20 მილიონი დოლარის კრედიტი მიიღოEBRD-სგან.

მოსაზრებები იმის შესახებ თუ რამდენად პოზიტიური ან ნეგატიური შეიძლება იყოს EBRD-ის მიერ საქართველოს საბანკო სექტორის ,,დაპყრობა“ , არაერთგვაროვანია.

[13] რა სურს EBRD-ს. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=6] 17-23 თებერვალი. #5 თბილისი 2009. გვ. 6

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ EBRD არასოდეს ახდენს საკონტროლო პაკეტის შეძენას. EBRD საქართველოსთან თანამშრომლობის საკმაოდ დიდ ხნიანი გამოცდილება აქვს, ის საქართველოს საფინანსო სექტორს ეხმარება გაუმჯობესებაში და შემდეგ ეტაპობრივად დაიწყო საქართველოს სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების ჩადება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართული საბანკო სისტემა შედარებით მდგრადი განვითარებით ხასიათდება, ამის მიზეზი ბანკების კონკურენტული მუშაობა გახდა. ისინი ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მომსახურების პაკეტები, რადგან რაც შეიძლება მეტი კლიენტები და ფინანსური რესურსები მოეზიდათ.

„საქართველოს ბანკი“

„2012 წელს „საქართველოს ბანკმა“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან EBRD-ის ვაჭრობის ფინანსირების პროგრამის ჯილდო მიიღო. მან ჯილდო 2012 წლის საუკეთესო ტრანზაქცია - **თბილისის ფუნიკულორის საბაგირო გზის განახლებისთვის და დანადგარის იმპორტისთვის მიიღო.** თბილისის ფუნიკულორის საბაგირომ ფუნქციონირება 1905 წელს დაიწყო და იმ დროს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ციცაბო და დიდი ზომის საბაგირო გზას წარმოადგენდა. 2000 წელს საბაგირო დაიხურა. ფუნიკულორის აღდგენსთვის, „საქართველოს ბანკმა“, EBRD-ის მხარდაჭერით, ორი გარანტია გასცა, საჭირო აპარატურის ჩამოტანისა და ინსტალაციისთვის, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან. „საქართველოს ბანკი“ , ვაჭრობის დაფინანსების თალსაზრისით ბაზრის უპირობო ლიდერია, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აღნიშნული მიმართულებით მსოფლიოს უმსვილეს ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, მათ შორის: EBRD-სთან, TFP-ის, GTFP-ის და ABD-სთან, TFP-ის პროგრამების კუთხით. ხსენებული თანამშრომლობა ბანკს აძლევს დამატებით შესაძლებლობას ვაჭრობის ფინანსირებისთვის მომხმარებელს უნიკალური ინდივიდუალური პროდუქტები შესთავაზოს.“[14]

„საქართველოს ბანკის“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე „საქართველოს ბანკიმა“ EBRD-სგან 50 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებას მიიღო. „საქართელოს ბანკი“ მიღებულ

[14] ნარმანია დავით. რას მოუტანს ჩვენს საბანკო სისტემას EBRD-ის გააქტიურება. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=8] 24 თებერვალი 2 მარტი. #6 თბილისი 2009. გვ 14

დაფინანსებას ადგილობრივი კერძო, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად მიმართავს. EBRD-იმ ფინანსურს, კორპორატიულ, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის სექტორებში, დაახლოებით 129 პროექტისთვის, ქართულ კომპანიებს 1 მილიარდ ევროზე მეტი უკვე გამოუყო. EBRD-ის დაფინანსება კიდევ უფრო გაზრდის „საქართელოს ბანკის“ შესაძლებლობას, ქართული კომპანიების გრძელვადიან რესურსზე სულ უფროო მზარდ მოთხოვნილებას უპასუხოს. მთლიონობაში EBRD-ის დაფინანსება მოიცავს: 2 მილიონ აშშ დოლარის მოცულობის სესხს, საშუალო და მსხვილი ქართული კომპანიების ინვესტიციებისა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისათის. აღნიშნული ფინანსური რესურსი EBRD-ის „საშუალო მოცულობის თანადაფინანსების სესხის“ ფარგლებში გამოიყო“. EBRD-ის დაფინანსება ასევე მოიცავს - 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ენერგოეფექტურობის სესხს, კერძო საწარმოებსა და ფიზიკურ პირებზე გასასესხებლად და ენერგიის მოხმარების შემცირებაზე მიმართული ინვესტიციების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ ეს არის ენერგოეფექტურობის სესხის გაცემის მესამე შემთხვევა საქართველოში. „სესხის გაცემა „ კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც წარმოებებისა და ბინათმფლობელების მიერ, ქვეყნის ენერგორესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშავეს. 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზი კი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისკენ იქნება მიმართული, რაც გულისხმობს 1 მილიონი აშშ დოლარამდე ბიზნესის დაფინანსებას, რაც ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის 1 მილიონ აშშ დოლარამდე მოცულობის, საშუალო ვადიანი სესხების გაცემას ითვალისწინებს. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლცების შემოსავალს ადგილობრივ ვალუტაში იღებენ შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ სესხით ლარში, რაც მათ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გამოწვეულ რისკს ააცილებს. EBRD-ის მიერ გამოყოფილი ეს დაფინანსება „საქართველოს ბანკის“ კონკურენტუნარიანობას საქართველოში გრძელვადიანი სესხების გაცემის მიმართულებით კიდევ უფრო გაზრდის. 1995 წლიდან დღემდე, EBRD-იმ საქართველოს ბანკს უკვე გამოუყო

სხვადასხვა სახის სასესხო და ვაჭრობის დაფინანსების რესურსი, რაც საერთო მოცულობით 160 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს.“[15]

2016 წელს EBRD-ის წარმომადგენლებმა საქართველოში საგადასახადო რეფორმის მიმდინარეობა განიხილეს, ასევე ისაუბრეს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ, მისი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი საფინანსო-ეკონომიკური შედეგებზე. აღინიშნა, რომ აღნიშნა, რომ EBRD-ი მზად არის, დამატებითი სახსრები გამოყოს საქართველოში საგადასახადო და მმართველობის რეფორმის მიმართულებით.

„თიბისი ბანკი“

„EBRD-მა სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებაში 2009 წლის ყველაზე აქტიურ ბანკად საქართველოში თიბისი ბანკი დაასახელა. „თიბისი ბანკისთვის“ ეს ჯილდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შეფასება მოხდა კლიენტების სავაჭრო ოპერაციების, გარანტიებისა და აკრედიტივების, ასევე პირდაპირი სესხებით დაფინანსების მიხედვით და აღმოჩნდა, რომ მიუხედავად კრიზისისა, 2009 წელი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო ამ მიმართულებით. ეს კი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, როგორც „თიბისი ბანკის“, ასევე მთლიანად საბანკო სექტორის სტაბილურობასა და განვითარებაზე. EBRD სავაჭრო ოპერაციების დაფინანსების პროგრამა მიზნად ისახავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშ საერთაშორისო ვაჭრობის წახალისებას. ამ პროგრამის ფარგლებში 2007 წელს, „თიბისი ბანკმა“ 54 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის განახლებადი საკრედიტო ხაზი მიიღო.“[16]

EBRD-ის კავკასიის ენერგო-ეფექტურობის პროგრამა შეიქმნა რეგიონებში ფინანსური ინსტიტუტების დასაფინანსებლად, რადგან მათ შემდეგ შეძლონ სესხების გაცემა კერძო სექტორის ენერგო-ეფექტურობის და ენერგიის რაციონალურად გამოყენების მიზნით დაგეგმილ ინვესტიციებზე. თიბისი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დაასრულეს მუშაობა 10 მილიონი აშშ

[15] ნარმანია დავით. რას მოუტანს ჩვენს საბანკო სისტემას EBRD-ის გააქტიურება. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=8] 24 თებერვალი 2 მარტი. #6 თბილისი 2009. გვ 14

[16] ნარმანია დავით. რას მოუტანს ჩვენს საბანკო სისტემას EBRD-ის გააქტიურება. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=8] 24 თებერვალი 2 მარტი. #6 თბილისი 2009. გვ 14

დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულებაზე კავკასიის ენერგო-ეფექტურობის პროგრამის ფარგლებში. ამ 5 წლიანი რესურსის საშუალებით ბანკი დააფინანსებს კორპორატიული, მცირე და საშალო ბიზნესის კლიენტების ენერგო-ეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტებს. 2007 წელს თიბისი ბანკმა 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობისიგივე ტიპის რესურსი პირველმა მიიღო ქართულ ბანკებს შორის და ეს უკვე მეორე ასეთი ტრანზაქციაა ბანკისთვის.

„ბაზისბანკი“

„EBRD „ბაზისბანკის“ აქციათა 15%-იანი პაკეტის მფლობელი გახდა. ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულება მხარეებს შორის კიევში, EBRD-ის ყოველწლიურ შეკრებაზე გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, EBRD-ს ყავდა თავისი წარმომადგენელი „ბაზისბანკის“ აქციონერთა საბჭოში. „ბაზისბანკის“ ინსტიტუციონალურ განვითარებასთან დაკავშირებით EBRD-ის მიერ შემუშავებულმა სამწლიანმა გეგმმ საშუალება მისცემდა ბანკს, კიდევ უფრო განევითარებინა მისი საქმიანობა და კორპორატიული მმართველობა. ”ბაზისბანკში“ აქციების პაკეტის შეძენა იქნება EBRD-ის ერთ-ერთი ინვესტიცია იყო ქართულ ბანკებში, რომელიც სტრატეგიული ინვესტორის გარეშე განხორციელდა. ბანკისა და EBRD-ის თანამშრომლობა 2007 წელს დაიწყო. ”ბაზისბანკი“ იყო პირველი ქართულ ბანკებს შორის, რომელმაც 6 მილიონიანი საკრედიტო ხაზი მიიღო მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად. მას ერგო მილიონიანი საკრედიტო ხაზი საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად EBRD-ის პროგრამის ფარგლებში. აქციათა 15%-იანი პაკეტის შესყიდვის შემდეგ, EBRD გეგმავდა საკმაოდ გაჯერებულ ქართულ ბაზარზე გაემყარებინა ბანკის, როგორც დამოუკიდებელი კონკურენტის პოზიციები.“[17]

„ბანკი რესპუბლიკა“

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან 5 მლნ. დოლარის საკრედიტო ხაზს მიიღებს. თანხა შეღავათიანი კრედიტების სახით, იმ კომპანიებს გამოეყოფა, რომლებიც წარმოებაში, ენერგიის დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავდნენ. ამავე მიზნით, ევრობანკი ქართული ბანკებისათვის, კიდევ 15 მლნ. დოლარის

[17] ნარმანია დავით. რას მოუტანს ჩვენს საბანკო სისტემას EBRD-ის გააქტიურება. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=8] 24 თებერვალი 2 მარტი. #6 თბილისი 2009. გვ 14

გამოყოფას გეგმავდა, საიდანაც 5 მლნ-ს „პროკრედიტ ბანკი“, 10 მლნ-ს კი „საქართველოს ბანკი მიიღებდა“.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორს წარმოადგენს და რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით საწარმოების, ბანკებისა და ბიზნესწრეების დაფინანსებას უზრუნველყოფს. „EBRD-მა საქართველოში ენერგოეფექტურობის პროექტის დასაფინანსებლად ბანკ ,,რესპუბლიკას“ 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო.[18] ხსენებული ფინანსური რესურსი კერძო სექტორში მოქმედი სამრეწველო სუბიექტებისა და ინდივიდუალური მობინადრეების დასაკრედიტებლად და ენერგიის რაციონალური მოხმარების მხარდასაჭერად დაიხარჯა. ენერგოკრედიტის პროექტის საქართველოს მასშტაბით, EBRD-ის უკვე რიგით მესამე ინიციატივაა, რომელიც კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამის ეგიდით ხორციელდება და იგი შემუშავებული იქნა ადგილობრივი მეწარმეებისა და ფიზიკური პირების მიერ, ქვეყნის ენერგორესურსებით უკეთესი სარგებლობის სტიმულირების მიზნით. ქვესესხების ზედა ზღვარი 2.5 მლნ აშშ დოლარია. ,,სოსიეტე ჟენერალის“ ჯგუფის წევრი ,,ბანკი რესპუბლიკა“ ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და აქტიური იყო საქართველოში ევრობანკის პარტნიორ ბანკებს შორის. ალბათ ევრობანკის არჩევანი სწორედ ამან განაპირობა. როგორც ,,ბანკ რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი ჟილბერი აცხადებდა ბანკის წარმომადგენლები მზად იყვნენ EBRD-თან და ,,სოსიეტე ჟენერალთან“ ერთად გაეზიარებინათ სოციალურ პროექტებზე პასუხისმგებლობის საკითხები. EBRD-მა ბანკ რესპუბლიკას გამოუყო მსხვილი საფინანსო პაკეტი, რომლის მოცულობაც 70 მლნ დოლარს შეადგენს, ამ თანხის ფარგლებში სულ განსაზღვრული იყო 5 საბანკო პროდუქტი, ეს იყო იპოთეკური დაკრედიტება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაკრედიტება, კორპორატიული კლიენტების დაკრედიტება, სუბორდინირებული სესხი , რომელიც კაპიტალის მდგრადობას შეუწყობს ხელს და მეხუთე ეს არის სწორედ ენერგოეფექტურობის

[18] 2016 წლის ოქტომბერში ბანკი რესპუბლიკა შეიძინა თიბისი ბანკმა

მიმართულებით გამოყოფილი სესხი, რომლის მოცულობაც 5 მლნ დოლარია."[19] აღნიშნული თანხა ახალი ენერგოტექნოლოგიების დასანერგად დაიხარჯა.

საქართველოში თავისი მოღვაწეობის დაწყების დღიდან, ევრობანკმა გამოყო 3 მილიარდ ევრომდე დაახლოებით 200 პროექტის დასაფინანსებლად ფინანსურ, კორპორატიულ, ინფრასტრუქტურულ თუ ენერგო სექტორებში. ბანკის ინვესტიციის 91 პროცენტი კერძო სექტორში განხორციელდა; ბანკის არსებული პორტფელის 40 პროცენტი ენერგოსექტორშია, რასაც მოსდევს ფინანსური სექტორი 27 პროცენტით; მრეწველობა და კომერცია იკავებს 26 პროცენტს, ინფრასტრუქტურა კი - 6 პროცენტს.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი „საქართველოს ენერგოსექტორის მოდერნიზაციის პროგრამის" ფარგლებში, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რაებილიტაციისთვის 20 მილიონი ევროს კრედიტს გამოყოფს. აღნიშნული კრედიტი გაგრძელებაა იმ 48,5 მლნ. კრედიტისა, რომელიც ევრობანკმა ენგურჰესის მოდერნიზაციისთვის 1998 წელს გამოყო. კრედიტის დამატება, ენგურჰესის ორი დარჩენილი აგრეგატის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას მოხმარდება. ენგურჰესი გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. სადგურის დადგმული სიმძლავრე 1 300 მეგავატია, რომლითაც ქვეყნის მოთხოვნილების ნახევრის დაკმაყოპილება მორციელდება. პროექტის დასრულების შემდეგ, ენგურჰესის წარმადობა 15%-ით გაიზრდება, რაც საშალებას მისცემს ქვეყანას დააკმაყოფილოს რეგიონალური ბაზრის მოთხოვნები. პროექტი ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსდება."[20]

„EBRD-მა კონპანია „თელასისთვის„ 25 მილიონი ევროს გრძელვადიანი კრედიტი გამოყო. მათი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მიზნით, კომპანია „ინტერ რაო ეესსა" და EBRD შორის სამანდატო ხელშეკრულება გაფორმდა. საინვესტიციო პროექტების რეალიზება სს ''თელასს" მომხმარებლების ენერგომომარაგების საიმედოობის გაზრდისა და მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. შეთანხმება თბილისის დაბალი ძაბვის

---

[19] IBRD ენგურგესის რეაბილიტაციისათვის 20 მლნ ევროს კრედიტს გამოყოფს. ბანკები და ფინანსები [http://bfm.ge/?cat=4&paged=11] 7-13 ივლისი #23. თილისი 2010. გვ. 10

[20] IBRD ენგურგესის რეაბილიტაციისათვის 20 მლნ ევროს კრედიტს გამოყოფს. ბანკები და ფინანსები [http://bfm.ge/?cat=4&paged=11] 7-13 ივლისი #23. თილისი 2010. გვ. 10

გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის „თელასის“ საინვესტიციო პროექტის დაფინანსებას ეხება.“[21]

ვითიბი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, მომხმარებლებს ერთობლივი პროდუქტი-ენერგოკრედიტი შესთავაზეს, რომლის ფარგლებშიც ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს ენერგოეფექტური პროდუქტები და დაიბრუნოს სესხის თანხის 10% საჩუქრად. ენერგოეფექტური პროდუქტების შესაძენად, ვითიბი ბანკის მომხმარებელმა, სავაჭრო ობიექტში უნდა შეარჩიოს მისთვის სასურველი ენერგოეფექტური პროდუქტი, ენერგოკრედიტი გაიცემა შემდეგ ენერგო ეფექტურ პროდუქტებზე: მაცივარი, ელექტროღუმელი, სარეცხი მანქანა, კონდიცირების სისტემა, ცენტრალური გათბობის სისტემა, ორმაგი შემინვის კარ-ფანჯრები, თბოიზოლაცია, მზის სისტემის გამათბობელები. ვითიბი ბანკის ენერგოკრედიტით სარგებლობის შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქცია, დაიბრუნოს სესხის თანხის 10% საჩუქრად, შეიმციროს კომუნალური გადასახადები და ისარგებლოს მაღალი კლასის საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

სს "ნენსკრა ჰიდრო“ პროექტის განმახორციელებელი კომპანიაა, რომელიც კორეული სახელმწიფო კომპანია K-Water-ისა და სს „საპარტნიორო ფონდის“ თანამშრომლობის შედეგად 2015 წელს შეიქმნა. მის მიზანს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მაღალკაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურის - ნენსკრა ჰესის მშენებლობა წარმოადგენს. ჰესი საქართველოს ყოველწლიურად 1.2 გიგავატ/სთ ელექტროენერგიას მიაწვდის, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ბაზარს მოხმარდება. EBRD საკმაოდ სერიოზულად უდგება ისეთი მასშტაბური პროექტების გარემოზე ზემოქმედების საკითხს როგორიც ნენსკრა ჰესია, რადგან იგი გარემოზე ზემოქმედება სოციალური საკითხია.

„ბორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსადგური ძირითადად EBRD-ის სესხით აშენდა, რომელიც 24 მილიონ დოლარს შეადგენს. დამატებით 6 მილიონი კი ენერგეტიკის განვითარების ფონდისა და ნავთობისა და გაზის

[21] სალომე ძაძამია. "ენერგოკრედიტი" - IBRD-ის ენერგოინიციატივა. 24 საათი. 24 მარტი. - N60 (2385). - თბილისი, 2010. გვ.A5

კორპორაციის სახსრებია. პროექტი ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით, ენერგეტიკის განვითარების ფონდის შვილობილმა კომპანიამ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“ განაახორციელა, სამშნებებლო სამუშაოებს კი – China Nuclear Industry. ენერგეტიკის სამინისტოში ვარაუდობენ, რომ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს ელექტროსადგური ექსპლოატაციაში შესვლიდან 7 წლის ვადაში ამოიღებს.“[22]

„EBRD-მა კომპანიას "თელიანი ველს" ლუდის ქარხნის მშენებლობისთვის 18,5 მილიონი ევროს სესხს გამოუყო. საქართველო ცნობილია ღვინით, თუმცა, კარგი ხარისხის ლუდი ასევე ძალიან პოპულარულია; ცნობილი ბრენდების ადგილობრივად წარმოების დაწყებით, თელიანი ველი არამარტო შემოიტანს ახალ ტექნოლოგიებს და გაზრდის წარმოების სტანდარტებს, არამედ, ასევე, შექმნის ადგილობრივ სამუშაო ადგილებს და კონკურენციას ლუდის ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ფასისა და ხარისხის გაუმჯობესებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა ბანკის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტია.“[23]

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 18.5 მილიონი ევროს ოდენობის სესხი გამოყოფ შპს. Global Beer Georgia (GBG)-სთვის, ინოვაციური ლუდის ქარხნის მშენებლობისა და ფუნქციონირების მხარდასაჭერად.

დაფინანსების პაკეტი მოიცავდა 6.2 მილიონი ევროს ოდენობის “A” სესხს ევრობანკის პირადი ანგარიშიდან და 6.2 მილიონი ევროს მოცულობის “B” სესხს ჰოლანდიის მეწარმეობის განვითარების ბანკის FMO-ს მხრიდან; გერმანიის ინვესტიციისა და განვითარების ბანკი DEG კი ამ სქემაში მოქმედებდა როგორც პარალელური კრედიტორი და გამოყოფდა ასევე 6.2 მილიონ ევროს. შპს. Global Beer Georgia-ს ახალი ლუდის ქარხანა აწარმოებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ლუდის ბრენდებს, როგორებიცაა Heineken, Krusovice და Amstel. შპს. Global Beer Georgia-ს მფლობელია სს თელიანი ველი, რომელიც ქვეყნის წამყვანი ღვინის მწარმოებელი კომპანიაა და საქართველოს საფონდო ბირჟის სიაშია შეტანილი. სს თელიან ველს საქართველოში შემოაქვს Heineken® და Krusovice®, მაგრამ უახლოეს

[22] ლომიძე ნინო. განახლებადი ენერგიის გამოყენებით საქართველოშიც დაინტერესდნენ. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=13] 23 თებერვალი-2 მარტი. #5 თბილისი 2011. გვ. 20

[23] IBRD-მა VTB ბანკს 5 მნლ აშშ $ მოცულობის ვაჭრობის ფინანსირების ხაზი აღუდგინა. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=10] 16-22 ივნისი #20 თბილისის 2010. გვ. 10

წლებში გეგმავს ამ ბრენდებისა და ასევე Amstel-ის უკვე საქართველოში წარმოების დაწყებას. კომპანია ასევე აპირებს ლუდის ახალი, ადგილობრივი ბრენდის შექმნას. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, შპს. Global Beer Georgia ასევე მიიღებს ევრობანკის FINTECC (კლიმატური ცვლილებების საკითხებისთვის ფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი) პროგრამის გრანტს, თანადაფინანსებულს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ. 73,000 ევროს მოცულობის გრანტი მოხმარდა კარბონის დიოქსიდის ზემოქმედების შემარბილებელი ქარხნის მშენებლობას, რომელიც დაბლოკავს გაზიანი სასმელების წარმოების პროცესში გამოყოფილ ნახშირორჟანგს.

ეს პროექტი კარგად ასახავს ევრობანკის სტრატეგიულ მიმართულებებს- დააფინანსოს სოფლის მეურნეობის განვითარება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი კერძო სექტორის გაძლიერებას და დანერგოს საუკეთესო ევროპული სტანდარტები და გარემოსდაცვითი პრაქტიკა. ევრობანკი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქტიურად მუშაობს ქვეყანაში; დღევანდელი მონაცემებით, ბანკმა 3 მილიარდ ევრომდე მოცულობის ინვესტიცია ჩადო 197-მდე პროექტში, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

155 მილიონიანი საკრედიტო ხელშეკრულება EBRD-სა და რუსთავის აზოტს შორის. „EBRD-სა და "რუსთავის აზოტის" საწარმოს შორის გარიგება შედგა. თითქმის ერთი წელია, აზოტის მენეჯმენტის მხრიდან მუშაობა მიმდინარეობს მნიშვნელოვან პროექტის რეალიზებისთვის, რომელიც საწარმოს საექსპორტო პოტენციალის გაორმაგებას უზრუნველყოფს.საუბარი იყო 155 მილიონიან საკრედიტო ხელშეკრულებაზე. აღსანიშნავია, რომ ევროპის რეკოსტრუქციისა და განვითარების ბანკის, იბიარდისა (EBRD) და "რუსთავის აზოტის" საწარმოს შორის გარიგებას, საპარტნიორო ფონდის პროექტში მონაწილეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. "იბიარდის მიერ პროექტის ფინანსირება, უდავოდ მნიშვნელოვნად გაზრდიდა "რუსთავის აზოტის" საექსპორტო პოტენციალს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც საწარმოს ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. 155 მილიონიანი ფინანსირების პაკეტი ქართული სასუქოვანი პროდუქციის მწარმოებელ კომპანია

"რუსთავის აზოტის" ამიაკის ხაზის წარმოებას და რეაბილიტაციას მოხმარდება. შედეგად ენერგიის მოხმარება 30%-ით შემცირდება.

რუსთავის აზოტში გაიზრდება წარმადობა და გაორმაგდება საექსპორტო პოტენციალი. შეთანხმების წარმატებით დასრულებაში სახელმწიფოს მხრიდან საპარტნიორო ფონდი იღებდა მონაწილეობას. 155 მილიონი დოლარის დაფინანსებიდან, რეფინანსირებისთვის 125 მილიონს EBRD გასცემს, ხოლო 30 მილიონს საქართველოს ბანკი. EBRD-ის მიერ გაცემული 125 მილიონიდან, 50 მილიონი EBRD-ის საკუთარი სახსრებია, 25 მილიონი ჰოლანდიური ბანკი FMO-ს, ხოლო 50 მილიონი ლუქსემბურგში არსებული East West United Bank-ის.

„რუსთავის აზოტში“ ამ ეტაპზე 2200 ადამიანია დასაქმებული. წლიური წარმოება 500 000 ტონა გვარჯილა და 220 000 ტონა ამიაკია. "EBRD-ს "რუსთავის აზოტისთვის" 125 მილიონი ამერიკული დოლარი უნდა გამოეყო, თუმცა ბანკმა მოგვიანებით თანხის გაცემის გადავადება ითხოვა.“[24]

"ავერსს" EBRD-ის 5 მილიონი ევრო. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ხელს უწყობენ "ავერსი ფარმას", საქართველოს ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთ წამყვან კომპანიას, გააფართოვოს მოსახლეობისთვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. IFC-ი "ავერსს" გამოუყოფს 13 მლნ. ევროს ოდენობის სესხს, რომელიც კომპანიის სამედიცინო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას და ქვეყნის მასშტაბით მოწინავე სამედიცინო მომსახურების გაწევას მოხმარდება. EBRD-ი „ავერსს“ 5 მლნ. ევროს ოდენობის სესხს გამოუყოფს კომპანიის განვითარებისთვის. აღნიშული სესხებით თბილისში მაღალი დონის ონკოლოგიური სერვისების განვითარება და თელავში ამბულატორიული კლინიკის მშენებლობა დაფინანსდება. ეს საფინანსო რესურსი ასევე გამოყენებული იქნება კლინიკებისთვის თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის შესაძენად. აღნიშნული მომსახურების დიდი ნაწილი იშვიათობას წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებში.

---

[24] გვიდიანი ანდრია. თბილისმა EBRD-ის ფორუმს უმასპინძლა. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=16]. 18 მაისი. #407. თბილისი 2015. გვ. 3.

“საქართველოს ბანკმა” ახალი პროდუქტი **„ქალი სტარტაპერი“** გამოიტანა. ბანკის ცნობით, პროგრამა საქართველოს ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. პროგრამის ფარგლებში, საქართველოში პირველად, საქართველოს ბანკმა ქალი მეწარმეების სტარტაპ ბიზნესი დააფინანასა. ეს არის ქალი მეწარმეებისთვის რეალური შანსი, თავიანთი ბიზნეს იდეა რეალობად აქციონ და ისარგებლონ საქართველოს ბანკის „ქალი სტარტაპერი“-ს ბიზნესსესხით. დაფინანსებით სარგებლობა შეეძლო მას, ვისაც აქვს საინტერესო ბიზნესიდეა, სესხი მოცულობა 10 000 ლარიდან განისაზღვრება და არ მოითხოვება სავალდებულო თანამონაწიელობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკი პროგრამის ფარგლებში, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, უფასოდ ჩაერთოს „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ ტრენინგში – „როგორ დავიწყო ბიზნესი?“, ტრენინგი ყველა მათგანს, ბიზნესიდეის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვან უნარებს და ცოდნას შესძენს. ამასთან, იმ ბიზნეს იდეის ავტორი, რომელიც დაფინანსდება, ერთი წლის განმავლობაში სრულიად ისარგებლებს საქართველოს ბანკის საოპერაციო პროდუქტებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში **მყარი ნარჩენების მართვის პროექტს დააფინანსებს**. პროექტის განსახორციელებლად, EBRD-ის მიერ გამოყოფილი იქნება 10 მლნ ევრო სესხის, ასევე, 2 მლნ ევრო გრანტის სახით. პროექტის მიზანია, მყარი ნარჩენების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს მყარი ნარჩენების შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების შეძენას.მყარი ნარჩენების შემგროვებელი მანქანები და კონტეინერები განკუთვნილია 64 მუნიციპალიტეტისთვის.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დაამტკიცა **50 მილიონი დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი სპეციალურად ქართული საწარმოებისთვის,** რომლებიც განიზრახავენ საკუთარი წარმოების სტანდარტების მიახლოებას ევროპული სტანდარტებისთვის. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წახალისება ევროპული სტანდარტებით საქართველოში წარმოების განვითარებისთვის.

ევროკავშირმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა **გურჯაანის სანაყინეს** 2 მილიონი ლარის ღირებულების აღჭურვილობა გადასცა განვითარებისთვის. აქედან 120 ათასი ევრო გრანტია, დანარჩენი კი დაბალპროცენტიანი სესხი. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა 2019 წლადე სხვა მცირე და საშუალო საწარმოებსაც შეუძლიათ. "გურჯაანის ნაყინის" ქარხანას უკვე შესაძლებლობა აქვს, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებული, უფრო მაღალი ხარისხის, შეფუთვისა და ბევრი დასახელების პროდუქტი აწარმოოს. ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკმა პროექტის "ევროკავშირი ბიზნესისთვის" ფარგლებში გურჯაანის სანაყინეს 800 000 ევროს ღირებულების თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა.

EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ადვოკატირება". საქართველოს კონკურენციის სააგენტო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს დაფინანსებით, განხორციელდა **კონკურენციის სააგენტოს განვითარებისა და ადვოკატირების პროექტი.** (ორგანიზატორი-ამერიკული კომპანია IOS Parnters, Inc. და მისი პარტნიორი Dicidendi Consultants). მათი მხარდაჭერით 2016 წელს განხორციელდა სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები (სასწავლო ვიზიტები და ტრენინგების ციკლი) და გაიმართა ადვოკატირების სემინარები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის (მოსამართლეები, ბიზნეს სექტორი, სახელმწიფო უწყებები). EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროგრამას - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ადვოკატირება" ამერიკული კომპანია „IOS Parnters, Inc" ახორციელებს.

2.2. სხვადასხვა საერთაშორისო-საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო პოლიტიკა ქართულ ეკონომიკაში

KfW არის გერმანიის წამყვანი განვითარების ბანკი,

რომელიც შედის KfW Bankengruppe-ის შემადგენლობაში. „KfW-ს საბანკო ჯგუფის ფარგლებში KfW განვითარების ბანკი პასუხისმგებელია განვითარებად ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის საკითხებზე. KfW განვითარების ბანკი თავის პარტნიორებს ეხმარება ეკონომიკურად მომგებიანი და სოციალურად სამართლიანი განვითრების პროცესების დაწყებაში. მთავარი მიზანი არის სიღარიბის შემცირება და ადამიანების, პირველ რიგში კი ყველაზე ღარიბი ფენების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. განვითარების ბანკი ხელს უწყობს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის, საფინანსო სისტემებისა და გარემოს დაცვის სფეროებში. KfW განვითარების ბანკი პროექტებს თავად არ ახორციელებს. პროექტზე პასუხისმგებელი არის ყოველთვის შესაბამისი ქვეყნის რომელიმე დაწესებულება. KfW თავის პროექტებსა და პროგრამებს ათანხმებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტებთან და სხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი დონორების ღონისძიებებთან. KfW საქართველოში მრავალ პროექტს აფინანსებს შემდეგ სფეროებში: გარემო და ენერგეტიკა, ეკონომიკის მდგრადი განვითარება და დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მმართველობა. ამჟამად KfW-ის ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებად ითვლება:

- ბათუმის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- კომუნალური ინფრასტურქტურის პროგრამა გარემოსა და ტურიზმისათვის
- პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა;
- ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- საკრედიტო პროგრამა საქართველოში განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობისათვის;
- საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოვება და გამყარება (პირველ რიგში შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტთან მიმართებაში);

- ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები და შენობებში ევროკავშირის ენერგოეფექტიანობის სტანდარტებთან დაახლოება;
- დაცული ტერიტორიების ხელშეწყობა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მენეჯმენტის ღონისძიებათა დაფინანსება;
- ეკონომიკური ინტეგრაცია, საცხოვებელი ფართი და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის."[25]

მისი ძირითადი კლიენტები არიან გერმანიის სამინისტროები, თუმცა ისინი ასევე ემსახურებიან ევროკომისიასა და სხვა ქვეყნების მთავრობებს განვითარებისა და თანამშრომლობის სფეროში პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საქმეში. გერმანიასა და საქართველოს შორის ორმხრივი ფინანსური თანამშრომლობა (FC) დაიწყო 1993 წელს, რომელიც ხორციელდება KfW Entwicklungsbank–ის მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერაციული სამინისტროს (BMZ) სახელით. 2001 წლიდან, საქართველოს ფინანსურ თანამშრომლობას დაემატა BMZ–ის რეგიონული კავკასიის ინიციატივა (CI).

დასაშვები სექტორები: KfW Entwicklungsbank ძირითადად აფინანსებს ინვესტიციებს ელექტროგადაცემის რეგიონული მნიშვნელობის მქონე პროექტების ფარგლებში. ის ასევე აფინანსებს განახლებადი ენერგიის სფეროში განსახორციელებელ ინვესტიციებსაც.

პროექტის მაგალითი: შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელი უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას დაახლოებით 260 კილომეტრის სიგრძის ახალი 500 კილოვატიანი ხაზის დამატებით გარდაბნიდან და ზესტაფონიდან. ეს ხაზი საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემებს ერთმანეთთან დააკავშირებს. შემდეგ მოხდა საქართველოში არსებული ქვესადგურების შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს ჰიდროელექტროენერგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მილიონი ტონა CO2 გამონაბოლქვის თავიდან აცილება თურქეთში. ელექტროენერგიის გატარება თურქეთის მიმართულებით, პროექტი 2013 წელს დასრულდა.

„2018 წელს სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის "სამგორის სამხრეთი თაღის

[25] https://tiflis.diplo.de/ge-ka/themen/weitere-themen/AkteurestaatlicherEZ/-/1697792
გერმანიის საელჩო თილისში. გადამოწმებულია 15.08.2020

საბადოზე მიწისქვეშა გაზსაცავის მოწყობის თაობაზე". ხელშეკრულება ითვალისწინებდა მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტისთვის 150 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსების გამოყოფას. სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" გაზსაცავის სამშენებლო სამუშაოებს 2019 წელს დაიწყო და პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა 2022 წელს იგეგმება. გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობა განხორციელდება თბილისთან ახლოს სამგორის სამხრეთი თაღის დაცლილ, დამუშავებულ ნავთობის საბადოზე. პროექტის ღირებულება, წინასაწარი შეფასებებით, 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს და მასში 300 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი."[26]

2019 წლის ივნისში ბათუმის მერიასა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (KFW) შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში KFW-ს მიერ 5,722 მილიონი ევროს გამოყოფა იგეგმება საჯარო ბაღებზე სხვადასხვა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განსათავსებლად. პროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება. სადემონსტრაციო პროექტი ფინანსდება საგრანტო ფონდებით, რასაც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით უზრუნველყოფს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ) გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ორმხრივი ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში. დაფინანსება სამომავლოდ 1.8 მილიონი ევროს ოდენობით გაიზრდება.

„გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით, 2018 – 2020 წლებში, საქართველოში 318 მლნ ევროს პროექტებს დააფინანსდა. ყურადღება გამახვილდა საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა ჯვარი-წყალტუბო-ახალციხის 500 კვტ გადამცემი ხაზის და სხვა ენერგოობიექტების მშენებლობა. GIZ-ის მიერ მხარდაჭერილი ახალი პროექტები მიმართულია საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის

[26] https://forbes.ge/news/4625/KFW-miwisqveSa-gazsacavis-mSeneblobas-daafinansebs
KFW მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობას 150 მლნ ევროთი დააფინანსებს. გადამოწმებულია 15.08.2020

განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე.“[27]

აზიის განვითარების ბანკი (ADB)

აფინანსებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებას და მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას. ADB-ს რამდენიმე სამოქმედო სფერო აქვს, მათ შორის არის კლიმატის შეცვლა. **დასაშვები სექტორები:** სუფთა, ეფექტური და კლიმატური პირობების მიმართ გამძლე ენერგოსისტემების ინფრასტრუქტურაში ინვესტირება; ტრანსპორტირების ეფექტური და მდგრადი საშუალებები; მდგომარეობის გაუმჯობესება საიმედო და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყლისა და სანიტარული პირობების თვალსაზრისით; კლიმატის პირობების მიმართ გამძლე და საცხოვრებლად ვარგისი ქალაქები. ბანკი დახმარებას უწევს სუბსუვერენულ, მუნიციპალურ ერთეულებს.

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ:

სესხის მინიმალური ოდენობა	განსაზღვრული არ არის
სესხის მაქსიმალური ოდენობა	განსაზღვრული არ არის, 100 მილიონზე მეტი
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	25%
საპროცენტო განაკვეთი	ბაზრის შესაბამისად
საშეღავათო პერიოდი	სესხისა და დაფინანსების ტიპიდან გამომდინარე ბანკის მიერ მოხდება სესხის უზრუნველყოფის მოთხოვნა.
სესხის დაფარვა	განსაზღვრული არ არის

2019 წლის იანვრის თვეში **აზიის განვითარების ბანკმა (ADB)** გაასაჯაროვა ახალი პროექტების დაფინანსება საქართველოში, რომელთა ღირებულება იქნება 700 მილიონი დოლარი. პროექტები არ მოიცავს მხოლოდ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და მის

[27] http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=98695&lang=geo გადამოწმებულია 15.08.2020

ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება იქ, სადაც ეს საჭიროა, ასევე ბიზნესკომპონენტის დაფინანსება, მცირე სესხების სახით. აზიის განვითარების ბანკი ასევე, ქობულეთის და ბათუმის შემოვლითი გზების მშენებლობას, ქვეშეთი-კობის (EBRD-თან ერთად) და ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობას დააფინანსებს. ბანკი რეგიონებში განახორციელებს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რათა ისინი ერთმანეთს დააკავშიროს, მაგალითად, სასტუმროები და პროდუქტების მწარმოებლები. ბანკი ასევე დააფინანსებს მათ ბიზნესებს, რომ შეძლონ პროდუქციის შექმნა თუ სასტუმროს აშენება". საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - „პროექტი 5-ის" შეთანხმება გაფორმდა, რომელიც თბილისის მეტროს რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას ითვალისწინებს. შეთანხმების ფარგლებში, ADB-ის მიერ საქართველოსთვის 12 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი გამოიყოფა. პროექტის ფარგლებში, მეტროს ელექტროგაყვანილობისა და სავენტილაციო სისტემის შეცვლაა დაგეგმილია.

საქართველოს განვითარებისთვის 2007 წლიდან დღემდე ADB-ის გამოყოფილი აქვს 2.8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, მათ შორის 1.4 მილიარდი აშშ დოლარი ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, 902 მლნ აშშ დოლარი შეღავათიანი ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან, 455 მილიონი აშშ დოლარი არასუვერენულ სესხებზე[28], 17 მილიონი აშშ დოლარი ტექნიკურ დახმარებასა და ვაჭრობის დაფინანსებაზე.

„აზიის განვითარების ბანკი (ADB) დაეხმარება საქართველოს ეკონომიკური დერეფნების განვითარებაში, ქალაქისა და სოფლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებასა და სიღარიბესთან ბრძოლაში. მეტი ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა სოციალური სექტორის დაფინანსება და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა. ეკონომიკური ზრდა ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარებას და ქვეყანაში სიღარიბისა და უმუშევრობის შემცირებას. კუმულატიური სესხებით გაცემული თანხების რაოდენობა

[28] არასუვერენული სესხი-სესხი სუვერენული ქვეყნისათვის, რომელიც არ არის ფინანსურად მხარდაჭერილი ამ სახელმწიფოს მთავრობისაგან.

შეადგენს 1.78 მილიარდ აშშ დოლარს. ADB ასევე ხელს შეუწყობს საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, საჯარო-კერძო პარტნიორობის მეშვეობით. ბანკმა თავისი მუდმივი წარმომადგენლობის ფარგლებში ჩამოაყალიბა კერძო სექტორის დეპარტამენტის რეგიონალური ცენტრი, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონის მასშტაბით ახდენს განვითარების ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიწოდებას."[29]

გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF)

აერთიანებს 182 წევრი სახელმწიფოს მთავრობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებით და მიზნად ისახავს გარემოს დაცვის გლობალური საკითხების გადაწყვეტას. დღესდღეობით, გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) მსოფლიოს გარემოს დაცვის სფეროში პროექტების უმსხვილესი დამფინანსებელია. ფონდის (GEF) ფარგლებში პარტნიორობა მოიცავს 10 სააგენტოს, მათ შორისაა EBRD, UNDP, UNEP, UNIDO ADB და მსოფლიო ბანკი.

„გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამა მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიო-მრავალფეროვნების კონსერვაცია, კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო წყლები, მიწის დეგრადაცია, ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენების მართვა. გარემოსდაცვითი პრიორიტეტების პარალელურად, პროგრამა ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა როლის გაძლიერებას საზოგადოებაში. პროგრამა ხორციელდება არაერთ ქვეყანაში და მორგებულია თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელ გარემოსდაცვით საკითხებსა თუ პრობლემებს. პროგრამის სტრატეგია საქართველოში ერთობლივად შეიმუშავეს დონორებმა, მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა."[30]

---

[29] https://www.adb.org/ka/publications/georgia-fact-sheet
აზიის განვითარების ბანკი და საქართველო. გადამოწმებულია 15.08.2020

[30] https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/gef-small-grants-programme.html
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა. გადამოწმებულია 15.08.2020

დასაშვები პროექტების ტიპი: პროექტის კონცეფციის შემუშავება შესაძლებელია მთავრობების, საზოგადოებების, კერძო სექტორის თუ სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი სუბიექტების მიერ. შესაძლებელია შემდეგი სახის საქმიანობათა დაფინანსება: ბიომრავალფეროვნება; კლიმატის ცვლილება (შემსუბუქება და ადაპტაცია); ქიმიური ნივთიერებები; საერთაშორისო წყლები; მიწის რესურსების დეგრადაცია; და სატყეო მეურნეობის მდგრადი მართვა.

„საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა დაიწყო 2012 წელს. პროგრამის მიმდინარე ეტაპის (2016-2018) ბიუჯეტი შეადგენს 600 ათას აშშ დოლარს. პროგრამის სამიზნე ლანდშაფტებს წარმოადგენს დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთა, შავი ზღვის სანაპირო და სემიარიდული ანუ ნახევრად უდაბნოს ზონა.

მცირე გრანტების პროგრამის ახალ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს:

- ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკოსისტემების კონსერვაცია და მდგრადი მართვის ხელშეწყობა ლანდშაფტურ მიდგომებზე დაფუძნებული სათემო ინიციატივების მეშვეობით;
- აგროეკოლოგიური პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობს ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებასა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას;
- დაბალნახშირბადიანი ენერგორესურსებისადმი თემების ხელმისაწვდომობის ზრდა
- სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების მდგრადი მართვა

ამის გარდა, პრიორიტეტული პროექტების სიას განეკუთნებიან ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის დიალოგს გარემოსდაცვითი მმართველობის გასაუმჯობესებლად, ახალგაზრდების, ქალებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის აქტიურ ჩართვას გარემოსდაცვით

საქმიანობაში; მოქალაქეთათვის პრაქტიკული გარემოსდაცვითი ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.“[31]

დასაშვები ტექნოლოგიები: განახლებადი ენერგიის ზონებში სითბური ეფექტის მქონე გაზების გამოყოფის შემცირება ან თავიდან აცილება; ენერგოეფექტურობა; მდგრადი ტრანსპორტი; და მიწათსარგებლობის მართვა, მიწათსარგებლობის ცვლილება და სატყეო მეურნეობა.

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ: გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF) რამდენიმე ათასიდან რამდენიმე მილიონი დოლარის ფარგლებში სთავაზობს გრანტებს სხვადასხვა ტიპის პროექტებისათვის.

სესხის მინიმალური ოდენობა	სპეციალური მინიმუმი განსაზღვრული არ არის
სესხის მაქსიმალური ოდენობა	სპეციალური მაქსიმუმი არ არსებობს, ყველაზე დიდი თანხა, რომელიც გარემოს დაცვის გლობალურ ფონდს (GEF) დღემდე გაუნაწილებია კლიმატის ცვლილების სფეროში არსებული პროექტებისათვის საქართველოში, არის 4,3 მილიონი აშშ დოლარი. დღემდე ყველაზე დიდი დაფინანსება თანადაფინანსების ჩათვლით საქართველოში შეადგენს 13 მილიონ აშშ დოლარს.
თანამონაწილეობის მაქსიმალური წილი	განსაზღვრული არ არის
საპროცენტო განაკვეთი	განსაზღვრული არ არის
საშეღავათო პერიოდი	განსაზღვრული არ არის

[31] https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/gef-small-grants-programme.html
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა. გადამოწმებულია 15.08.2020

განაცხადის წარდგენის კრიტერიუმები: უნდა შეიცავდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც გლობალური მასშტაბით გარემოს დაცვის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად;

- უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) მოქმედების სტრატეგიას;
- უნდა ეძიებდეს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) დაფინანსებას გლობალური ეკოლოგიისათვის სასარგებლო ღონისძიებების მხოლოდ შეთანხმებული დამატებითი დანახარჯებისათვის;

„პროექტის მაგალითი: 2010 წელს გარემოს დაცვის გლობალურმა ფონდმა (GEF) დააფინანსა გაუმჯობესებული ბიომასის მდგრადი წარმოებისა და საქართველოს მუნიციპალური სამსახურების სექტორის მიერ მისი გამათბობელ საშუალებებში გამოყენების წამახალისებელი პროექტი, რითაც ხდება წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება და სათბურის გაზების გამოყოფის თავიდან აცილება.“[32]

თანამედროვე ბიზნეს გარემოში წარმოუდგენელია იყო წარმატებული საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, თუ შენი საქმიანობა ეფექტური არაა მიმღებ ქვეყანაში. ეს პროცესი კომპლექსურია და მოიცავს უმნიშვნელოვანეს ასპექტებს: მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ქვეყნის ეკონომიკის მტკივნეული ადგილები, ქვეყნის განვითარების სპეციფიკა და გაკეთდეს თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული შეთავაზებები, განისაზღვროს განხორციელებული პროექტის შედეგად მიღწეული მართვის ეფექტურობა და ა.შ.

საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში უნდა განვსაზღვროთ ბიზნესპროდუქტიულობით, რაც არის კომპანიის უნარი, გამოიყენოს ხელმისაწვდომი რესურსები მოგების მომტანი პროდუქტების ან სერვისების შესამუშავებლად მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად. ის მიჩნეულია ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ძირითად წყაროდ.

[32] სალომე ძაძამია. "ენერგოკრედიტი" - IBRD-ის ენერგოინიციატივა. 24 საათი. 24 მარტი. - N60 (2385). - თბილისი, 2010. გვ.A5

პროდუქტიულობის წყალობით ჩვენ შეგიძლიათ შევაფასოთ კომპანიის ეფექტიანობა და მიღწეული პროგრესი.

პროდუქტიულობა განისაზღვრება როგორც საბოლოო პროდუქტისა და გახარჯული რესურსების ფარდობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქტიულობა წარმოადგენს საზომს, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება რესურსები (კაპიტალი, პერსონალი, მანქანები და ა.შ.) განსაზღვრული მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად. პროდუქტიულობა ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ძირითადი წყაროა და გამოიყენება საერთაშორისო დონეზე კომპანიების ეფექტიანობის შესაფასებლად.

- **საბოლოო პროდუქტი** არის პროდუქცია და სერვისები, რომლებიც შეიძლება გამოხატულ იქნეს ფულადი ერთეულით (მაგ.: დოლარით), როგორიცაა, მაგალითად, გაყიდვების მოცულობა ან ფიზიკური რაოდენობა (მაგ.: წარმოებული მანქანების რაოდენობა) და რომელსაც თქვენი კომპანია აწარმოებს;
- **გახარჯული რესურსები** კომპანიის ხელთ არსებული საშუალებებია კონკრეტული საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად.

ჩვენი კომპანიის პროდუქტიულობის შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი შედეგები, როგორებიცაა: მომხმარებლების რაოდენობა, რომლებსაც მომსახურება გაუწია ერთმა თანამშრომელმა, ნამუშევარი საათების განმავლობაში გაყიდული პროდუქციის რაოდენობა, ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე გაყიდვების რაოდენობა და ა.შ. როგორც პოლ კრუგმანმა 1994 წელს აღნიშნა – „პროდუქტიულობა ყველაფერი არ არის, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ის თითქმის ყველაფერია. ქვეყნის უნარი, დროთა განმავლობაში გააუმჯობესოს თავისი ცხოვრების სტანდარტი, თითქმის მთლიანად დამოკიდებულია მის უნარზე, აამაღლოს წარმადობა ერთ დასაქმებულზე.“ ამ გამონათქვამში ის, რაც ეხება ქვეყანას, ეხება ბიზნესსაც.

„2012 წლიდან, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მიიღო 33 არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციამ საერთო ბიუჯეტით 750 ათასი აშშ დოლარი. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისინი ახორციელებენ პროექტებს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებზე:

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია
- კლიმატის ცვლილება

- საერთაშორისო წყლები
- მიწის დეგრადაცია
- ქიმიური ნივთიერებების მართვა.“[33]

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (International Development Association - IDA) რესურსები ივსება ყოველ 3 წელიწადში ერთჯერ 40 დონორი ქვეყნის მიერ. დანარჩენ შემოსავალს იძლევა გაცემული სესხების დაფარვის თანხები, რომლებიც შემდგომში კვლავ გაიცემა კრედიტად.

მსოფლიო ბანკი გასცემს ორი სახეობის კრედიტს:

- საინვესტიციო კრედიტებს;
- კრედიტებს განვითარებისათვის;

საინვესტიციო კრედიტების წადგენა ხდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევისათვის, ხოლო კრედიტები განვითარებისათვის (ადრე იგი იწოდებოდა კრედიტად სტრუქტურული გარდაქმნებისათვის) წარდგენისას ხდება ფინანსური რესურსების გამოყოფა ქვეყანაში პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რეფორმების მხარდაჭერის მიზნით.

კრედიტის მიმღებისაგან პროექტის დაფინანსებაზე განაცხადის მიღებისას პირველ რიგში ხდება მისი ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და ეკოლოგიური შესაბამისობის დადგენა. შემდგომი მოლაპარაკებების სტადიაზე მსოფლიო ბანკი და მიმღები ქვეყანა ერთმანეთს უთანხმებენ პროექტის მიზნებს, კომპონენტებს, მოსალოდნელ შედეგს, პროექტის რეალიზაციის ეფექტურობის საკონტროლო მაჩვენებლებს, პროექტის რეალიზაციის გეგმას და ასევე სესხის გაცემის გრაფიკს. პროექტის რეალიზაციის პროცესში მსოფლიო ბანკი მონიტორინგს უწევს და აფასებს მიმდინარე მოვლენებს.

პროექტი ზრდა საქართველოში.

[33] https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/gef-small-grants-programme.html
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა. გადამოწმებულია 15.08.2020

„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია პარტნიორობას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტს „ზრდა“ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. „ზრდა“ არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას სამიზნე რეგიონებში. პროექტი ახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. USAID-ის ზრდა პროექტს ახორციელებს Chemonics International Inc., რომელსაც, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად მხარდაჭერას უწევს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA), რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA) და ასოციაცია “სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის” (RDFG).“[34]

„დონორი: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

განმახორციელებელი: Chemonics International Inc.

პარტნიორები: რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA)

ხანგრძლივობა: მაისი 2016 - დეკემბერი 2020

თემატიკა: ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

გეოგრაფიული არეალი: პროექტი ზრდა მუშაობს საქართველოს ექვსი რეგიონის: შიდა ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, და კახეთი (პანკისის ხეობა) – 81 თემში, მათ შორის ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

სამიზნე ჯგუფი: ადგილობრივი ფერმერები, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები;

[34] https://gfa.org.ge/პროექტი-ზრდა-საქართველოში/ **გადამოწმებულია 15.08.2020**

მიზანი: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა ზრდა მიზნად ისახავს საქართველოს შერჩეულ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ხელს უწყობს მიკრო, მცირე, და საშუალო საწარმოების განვითარებას; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განვითარებას; პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა."[35]

სოფლის მეურნეობის განვითარება:

„სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროგრამა მიზნად ისახავს სოფლად საოჯახო მეურნეობების დახმარებას რათა გაიზარდოს მათი პროდუქტიულობა და შემოსავალი. პროექტის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული სექტორებია: ბოსტნეულის, კენკროვანი ხილის, ხეხილისა და მეფუტკრეობა/თაფლის წარმოება. საქმიანობები, რომლებიც მიმართულია წარმოების ახალი და გაუმჯობესებული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისაკენ, ტექნიკური დახმარებისა და ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარებისაკენ, საბაზრო კავშირების ხელშეწყობისაკენ და ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისაკენ დაეხმარება ფერმერებს გააუმჯობესონ პროდუქტიულობა და მოსავალი, და გაზარდონ შემოსავალი. გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გამწევი საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას და პროფესიული ტრენინგების ჩატარებას ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, რაც დაეხმარება სოფლის მოსახლეობას გაზარდოს შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნება და გახდის მათ კონკურენტინარინს დასაქმების ბაზარზე. და ბოლოს, Zrda მჭიდროდ თანაშრომლობს ფერმერთა ორგანიზაციებთან, როგორიცაა საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ინდივიდუალურ და კოოპერატიულ მწარმოებლებთან და საბითუმო და საცალო შემსმყიდველებთან,

[35] https://www.rda.org.ge/zrda/ **გადამოწმებულია 15.08.2020**

რათა ხელი შეუწყოს სტანდარტების გაუმჯობესებასა და სერტიფიცირების პროცესს, რაც გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას“[36]

[36] https://www.rda.org.ge/zrda **გადამოწმებულია 15.08.2020**

დასკვნები:

- მოსაზრებები იმის შესახებ თუ რამდენად პოზიტიური ან ნეგატიური შეიძლება იყოს EBRD-ის მიერ საქართველოს საბანკო სექტორის ,,დაპყრობა", არაერთგვაროვანია. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ EBRD არასოდეს ახდენს საკონტროლო პაკეტის შეძენას. EBRD საქართველოსთან თანამშრომლობის საკმაოდ დიდ ხნიანი გამოცდილება აქვს, ის საქართველოს საფინანსო სექტორს ეხმარება გაუმჯობესებაში და შემდეგ ეტაპობრივად დაიწყო საქართველოს სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების ჩადება.

- „საქართველო მსოფლიო ბანკს 1992 წელს შეუერდა, საქართველოს გაწევრიანების შემდეგ მსოფლიო ბანკმა 50-ზე მეტი პროექტი დააფინანსა. დაფინანსების მთლიანმა თანხამ 1.68 მილიარდი დოლარი შეადგინა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების, გრანტების და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების სახით, რომელთა დაახლოებით 90% უკვე გადარიცხულია. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დაფინანსების 67% საინვესტიციო პროექტებზე მოდის, 33% კი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტისათვის გაწეული დახმარებაა.
- აზიის განვითარების ბანკი (ADB) საქართველოში აფინანსებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებას და მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას. ADB-ს რამდენიმე სამოქმედო სფერო აქვს, მათ შორის არის კლიმატის შეცვლა. ბანკისათვის საინტერესო სექტორებია: სუფთა, ეფექტური და კლიმატური პირობების მიმართ გამძლე ენერგოსისტემების ინფრასტრუქტურაში ინვესტირება; ტრანსპორტირების ეფექტური და მდგრადი საშუალებები; მდგომარეობის გაუმჯობესება საიმედო და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყლისა და სანიტარული პირობების თვალსაზრისით;

- თანამედროვე ბიზნეს გარემოში წარმოუდგენელია იყო წარმატებული საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, თუ შენი საქმიანობა

ეფექტური არაა მიმღებ ქვეყანაში. ეს პროცესი კომპლექსურია და მოიცავს უმნიშვნელოვანეს ასპექტებს: მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ქვეყნის ეკონომიკის მტკივნეული ადგილები, ქვეყნის განვითარების სპეციფიკა და გაკეთდეს თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული შეთავაზებები, განისაზღვროს განხორციელებული პროექტის შედეგად მიღწეული მართვის ეფექტურობა და ა.შ.

- საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში უნდა განვსაზღვროთ ბიზნესპროდუქტიულობით, რაც არის კომპანიის უნარი, გამოიყენოს ხელმისაწვდომი რესურსები მოგების მომტანი პროდუქტების ან სერვისების შესამუშავებლად მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად. ის მიჩნეულია ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ძირითად წყაროდ. პროდუქტიულობის წყალობით თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ კომპანიის ეფექტიანობა და მიღწეული პროგრესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური ქრონიკა. ჟურნალი-გადასახადები. #1. მარტი. დამატება #1. თბილისი 2015. გვ. 5-9.
2. ლია პიტიურიშვილი, ნინელი თევდორაშვილი. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები. ახალი ეკონომისტი-საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. N1. თბილისი, 2015. გვ.54-57.
3. გვიდიანი ანდრია. თბილისმა EBRD-ის ფორუმს უმასპინძლა. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=16]. 18 მაისი. #407. თბილისი 2015. გვ. 3.
4. ეკონომიკური ქრონიკა. ჟურნალი-გადასახადები. #12 დამატება #4 თბილისი 2014 გვ. 5-13.
5. საქართველოს ეკონომიკის მოზაიკა. ჟურნალი-ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტ 2 #1 თბილისი 2014. გვ. 74-78.
6. EBRD-ის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. ჟურნალი-Forbes Georgia. აგვისტო #21. თბილისი 2013. გვ. 70-73.
7. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით წარმართული ინოვაციური ეკონომიკური ზრდა. საქართველოს ეკონომიკა-სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. - ISSN N7-8(184-185). თბილისი, 2013. გვ.39-40
8. მსოფლიო ბანკი განაგრძობს საქართველოს მთავარი სატრანსპორტო გზის განახლების მხარდაჭერას. გადასახადები -რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ივნისი. N6 (დამატება N2). თბილისი, 2013. გვ.6-7.
9. დავით ასლანიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი: სიტუაციური ანალიზი და პერსპექტივა : (2012 წლის 1 მაისი - 2013 წლის 22 ივლისის პერიოდი). ეკონომისტი -საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. აგვისტო-სექტემბერი. - N4 თბილისი, 2013. . გვ.81-85.

10. თათია ხალიანი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ახალ ეტაპზე გადადის. ლიბერალი. 17-23 ივნისი. N141. თბილისი, 2013. გვ.34-37.
11. იაშა მესხია. საერთაშორისო ფინანსები. თბილისი 2012. გვ. 510-521.
12. თიბისი ბანკმა და EBRD-მა ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას 10 მლნ აშშ $ ოდენობით. ჟურნალი-საქართველოს ეკონომიკა. #9 (174) თბილისი 2012. გვ. 18.
13. ნანა კოტეტიშვილი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სოციალური ეკონომიკა : XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. - თბილისი, 2012. - ISSN 1987-7471. - იანვარი-თებერვალი. - N1. - გვ.163-165.
14. საქართველოს 390 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გაეხსნება. საქართველოს ეკონომიკა -სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. - თბილისი, 2012. - N3(168). გვ.9
15. ბუწაშვილი გიორგი. EBRD-სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი დატყმის ქვეშ საქართველო აღმოჩნდა. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=15] 29 თებერვალი-6 მარტი. #290 თბილისი 2012. გვ. 13
16. როსებაშვილი ნინო. EBRD სადაზღვევო ბაზარზე პირველ გარიგებას აფორმებს და კვლავ აქტიურად აგრძელებს მნიშვნელოვან პროექტებს. ბანკები და ფინანსები.[http://bfm.ge/?cat=4&paged=2] 4 აპრილი #3 თბილისი 2011. გვ.19
17. ლომიძე ნინო. განახლებადი ენერგიის გამოყენებით საქართველოშიც დაინტერესდნენ. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=13] 23 თებერვალი-2 მარტი. #5 თბილისი 2011. გვ. 20
18. EBRD კომპანიებისათვის სესხებს ეროვნულ ვალუტაში გასცემს. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4&paged=14] 4-10 მაისი. #12. თბილისი 2011. გვ. 11
19. EBRD თელასისათვის 25 მლნ ევროს გრძელვადიან კრედიტს გამოყოფს. ბანკები და ფინანსები. [http://bfm.ge/?cat=4] #12 14-20 აპრილი. თბილისი 2010. გვ. 2
20. სალომე ძაძამია. "ენერგოკრედიტი" - IBRD-ის ენერგოინიციატივა. 24 საათი. 24 მარტი. - N60 (2385). - თბილისი, 2010. გვ.A5

ინტერნეტრესურსები:

- http://news.ge/ge/news/story/218270-saqartvelos-bankis-mier-dafinansebuli-proeqti-vachrobis-khelshetsyobis-da-finansirebis-kutkhit-ebrd-is-mier-tslis-sauketeso-proeqtad-dasakhelda გადამოწმებულია 2.06.2020
- http://liberali.ge/news/view/16444/gharibashvilma-EBRDis-tanadafinansebit-gankhortsielebuli-mskhvili-proeqtebi-daasakhela გადამოწმებულია 4.06.2020
- https://bpn.ge/finansebi/22318-semek-shi-ebrd-is-dafinansebith-akhali-proeqti-itsyeba.html?lang=ka-GE გადამოწმებულია 5.06.2020
- https://bpn.ge/finansebi/22916-ebrd-is-dafinansebith-thbilisi-60-avtobuss-agvistoshi-miighebs.html?lang=ka-GE გადამოწმებულია 1.06.2020
- http://mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=news/&id=1653 გადამოწმებულია 2.06.2020
- http://www.worldbank.org/projects/P130413/east-west-highway-improvement-project-4?lang=en http://www.worldbank.org/projects/P122204/secondary-local-roads-project-ii?lang=en გადამოწმებულია 6.06.2020